პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 136 (11747)
კვირა
12
ივნისი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

## საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისათვის

# ეს მშობლიური თბილისი

1. გული! რამდენჯერ ვიტყვით ამ ლამაზ ქართულ სიტყვას, ვიტყვით და წარმოვიდგენთ სიცოცხლეს, სიყვარულს, სიხარულს, ზოგჯერ დარდსა და ტკივილსაც, ყველაფერს, რაც ადამიანის არსებასთან, მის ყოფასთან არის დაკავშირებული.

გული!

არც ერთ ენაზე არ მოიპოვება იმდენი სხვადასხვა აზრის, შინაარსის მთქმელი სიტყვა, რამდენიც ქართულ სიტყვასთან — „გულთან" არის შეხმატკბილებული. ვამბობთ: გულთბილი, გულალალი, გულითადი, გულახდილი, გულკეთილი, გულისხმიერი, გულსპეტაკი, გულმართალი, გულობოლი, გულცივი, გულმოკლული, გულზვიადი და ასე შემდეგ...

სულიერ არსებათა გარდა, ქვეყანასაც აქვს თავისებური გული, მისი შემქმნელი ხალხის მთელი ცხოვრების, მისი მაჯისცემის, მისი ზრდისა და აყვავების გამომხატველი გული.

თბილისი ხომ საქართველოს გული, მისი მშვენება და სიამაყეა, მისი დიდება და ყველა ნატვრის ნავსაყუდელია.

**საქართველოს გულად მყავხარ,**
**შენდები და მზიანობ.**
**რუსთაველის ნატვრას გავხარ,**
**ლაჟვარდ-ფირუზიანო!**

ამ სურათზე რუსთაველის პროსპექტს ვუმზერთ. ჩვენს თვალწინ დგას მწვანეში ჩასმული მზიური თბილისის ქუჩების მთავარსარდალი — მშვენიერი პროსპექტი. ახლა იგი ოცდაცხრამეტ საბჭოთა ზაფხულს შეხვდა. დაბერავს ნიავი და შრიალებენ ახალგაზრდა ჭადრები, ძველი დრო-ჟამის მოწამე თელები და აკაციები. მათ გვერდით კი თავს გვაწონებენ მარადმწვანე გაზონები, ფერადფერადი ყვავილები, ახლა მზის სხივი რომ აციმციმებს თვალისმომჭრელად და ჩვენდა საამებლად.

საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავის შესახვედრად ემზადება ჩვენი მამული, ჩვენი დედაქალაქი, მისი ყველა უბანი, პროსპექტი, ქუჩა და ეზოც.

და აი ამ განიერ პროსპექტზე, რომელსაც წინათ „გოლოვინსკი" ერქვა, რახრახით იკლებდა მგზავრებს ეგრეთწოდებული „კონკა". ძლივს მიათრევდნენ ჯაგლაგი ცხენები პაწაწინა ვაგონებს. აქვე, სადაც ახლა მთავრობის სახლია, იდგა ოდესღაც სამხედრო ტაძარი — თვითმპყრობელობის მლოცველი და ბნელეთისმოციქულთა „სამოთხის" მქადაგებელი. წინ ედგა კავკასიის მთავარმართებლის ჟანდარმთა საყარაულოს გამურული შენობა, რომლის ნაფუძარზე რუსთაველის სახელობის ბრწყინვალე კინოთეატრია აგებული. მოასფალტებულ, დღისით მზით, ხოლო ღამით ილიჩის შუქით გაკაშკაშებულ პროსპექტზე დაქრიან ავტობუსები, ტროლეიბუსები, ყველა მარკის მანქანები.

ხალხმრავალია რუსთაველის პროსპექტი. სიცოცხლე, სილამაზე, მხიარულება — აი რა დამკვიდრდა ახლა ათას ხუთასი წლის დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე.

**ათას ხუთას წელს**
**გაუსწორე ძლიერი მხრები,**
**ფერშეცვლილია**
**ახლა ლოდიც ნავახტანგარი.**
**ნატვრის თვალი ხარ,**
**მზის ქალაქი მზისკენ იხრები**
**ომში მრავალჯერ**
**ხმალნაცადი და მკლავმაგარი.**

* * *

**სურათზე:** რუსთაველის პროსპექტი. საქართველოს სსრ მთავრობის სახლი.



## შენთვის, ჩემო სამშობლოვ!

**აჭარის მეჩაიეებმა ვადაზე 19 დღით ადრე, 11 ივნისს შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის მაის-ივნისის გეგმა. მოკრეფილია და მრეწველობას ჩაბარდა 11.368 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც ორი თვის გეგმის 100,3 პროცენტს შეადგენს.**

## ქობულეთელები უპატაკებენ

**ქობულეთი.** (საკ. კორ.). რაიონის მეჩაიეები, რომლებიც წელს სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად გამოვიდნენ, წარმატებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას. მეჩაიეებმა ვადაზე 20 დღით ადრე, 10 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის კრეფის მაის-ივნისის დავალება. უკვე მოკრეფილია 8.405 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს 1.768 ტონით მეტია, გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე.

ორი თვის გეგმები დიდი გადამეტებით შეასრულეს სოფლების ზენითის, აჭის, ლეღვას, ალამბრის, გვარას, მუხაესტატეს, აჭყვისთავის, ქაქუთის, წყავროკას, ხუცუბნის და ქობულეთის კოლმეურნეობებმა, აგრეთვე ჩაქვის, ოჩხამურის და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობებმა.

სოფელ გვარას ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადამ მოკრიფა 52 ტონა ჩაი ნაცვლად 42 ტონისა და ვალდებულება იკისრა ივლისის გეგმა შეასრულოს ივნისში. ამ ვალდებულების ანგარიშში უკვე მოკრეფილი აქვს 10 ტონა. სოფელ წითელი ოქტომბრის კოლმეურნეობის მეხუთე რგოლმა საშუალოდ ჰექტარზე უკვე მოკრიფა 4 ტონა ჩაის ფოთოლი. თავი ისახელა სოფელ ქაქუთის კოლმეურნეობის მეჩაიემ ემინე ზაქარიაძემ, რომელმაც 0,5 ჰექტარზე უნდა მოკრიფოს 8 ტონა, უკვე მოკრიფა 4 ტონა. პირადად მან 9 ივნისს მოკრიფა 185 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ზენითელმა მეჩაიემ ზ. ბაუჟაძემ მოკრიფა 1.821 კილოგრამი ჩაი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.800 კილოგრამისა.

## დეპუტატის დღე

**რუსთავი.** (საკ. კორ.). დეპუტატის დღე. ასე ეწოდება ღონისძიებას, რომელიც ამ დღეებში განახორციელა რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. დეპუტატებმა თავი მოიყარეს და ერთმანეთს გააცნეს თავიანთი საქმიანობა, მუშაობის გამოცდილება.

დეპუტატებმა ბევრი რამ საინტერესო თქვეს. მაგალითად, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ბუიშვილმა ილაპარაკა საცხოვრებელი ბინების განაწილების წესებზე, ხოლო ქალაქის პროკურორმა მ. გიორგობიანმა — საბჭოთა კანონმდებლობაში მომხდარ ცვლილებებზე.

დეპუტატებმა ინტერესით მოისმინეს აგრეთვე ქალაქის საბჭოს საბინაო-საყოფაცხოვრებო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის მ. ზაცარნის, ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ი. ვიშნიაკოვის და დეპუტატ ე. კოროლევას ინფორმაციები.

## შეხვედრა მომავლის მეზვერავებთან

**რუსთავი.** (საკ. კორ.). გუშინ მეტალურგთა კულტურის სასახლეში თავი მოიყარეს კომუნისტური შრომისა და ცხოვრების ქალაქის სახელის მოპოვებისათვის მებრძოლმა ადამიანებმა.

მებრძმედეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ა. ძამაშვილს, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, აგრეთვე მედლებით „შრომითი მამაცობისათვის" და „შრომითი წარჩინებისათვის" დაჯილდოებულებს — ელექტრიკოს ყარამან სიმონიძეს, უფროს მეაპარატეებს ზაურ სარდანაძეს და ნოდარ გოგოლაძეს გულთბილად მიესალმნენ და მაღალი ჯილდოები მიულოცეს მეტალურგიული ქარხნის პარტკომის მდივანმა გ. უამიერაშვილმა, აზოტოვანი სასუქების ქარხნის განყოფილების უფროსმა თამარ ქაჯაიამ, კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ო. წვერავამ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. ჭიჭინაძემ და სხვებმა.

## სკოლას — რესპუბლიკური დროშა

**თერჯოლა.** (საკ. კორ.). სოფელ ზედა საზანოს საშუალო სკოლაში ამ დღეებში სასიხარულო ამბავი მოვიდა. სწავლასა და შრომაში მაღალი მაჩვენებლებისათვის სკოლის კოლექტივს მიეკუთვნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა კ. ვარდოსანიძემ საზეიმო ვითარებაში გადასცა დროშა სკოლის დირექტორს ა. ჯაფარიძეს, მიულოცა სკოლის კოლექტივს ჯილდო და ახალი წარმატებები უსურვა მას.

სკოლის კოლექტივმა ახალი ვალდებულებები იკისრა.

## ოპერას ისმენენ მაღაროელები

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქს სავასტროლოდ ესტუმრა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის კოლექტივი.

თეატრის კოლექტივმა იმავე დღეს საღამოთი აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრში მაყურებელს უჩვენა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი". დამსწრენი აღფრთოვანებით შეხვდნენ კიაზოს, მალხაზის, მაროს, ცანგალას და სხვათა როლების შემსრულებლებს.

მაღაროელებმა მოისმინეს აგრეთვე ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", ჯ. ვერდის „რიგოლეტო".

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შესახვედრად

## დაპირება და სინამდვილე

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის მშრომელები ემზადებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის. სტალინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა პლენუმის გახსნის დღისათვის 7 თვის დავალების შესრულება იკისრა.

მაგრამ ყველა მაღარო, ფაბრიკა, მშენებლობა როდი ასრულებს დავალებას. ტრესტმა ხუთ თვეში სამშობლოს დააკლო დიდძალი მაღალი ხარისხის მარგანეცი, გადიდდა მადნის თვითღირებულება. ტრესტის მუშაობაზე არასასურველად მოქმედებს ლენინის სახელობისა და მაღარო „ახალი ითხვისის" კოლექტივების ჩამორჩენა. იქ გონივრულად ვერ იყენებენ მექანიზმებს, დაბალია წარმოების კულტურა, შრომის დისციპლინა.

სახარბიელო მდგომარეობა არც მშენებლობებზეა. სამმართველოების უფროსები ხშირად გამოდიან საპარადო დაპირებებით, მაგრამ სიტყვას საქმე ყოველთვის როდი მოსდევს. ეს ცუდი ტრადიცია არ უნდა გაგრძელდეს.

## კურორტის სტუმრები

**ჯავა.** (საკ. კორ.). ზამთრის შესვენების შემდეგ კვლავ ახმაურდა კურორტი „ძაუ". ნაძვნარით და ფოთლოვანით დაფარულ ფერდობებზე ჩანან ჯავაში დასასვენებლად მოსული სტუმრები. ისინი ტკბებიან კავკასიონის თვალწარმტაცი ბუნებით, სვამენ მინერალურ წყალ „ძაუს", ისვენებენ და მკურნალობენ კეთილმოწყობილ სანატორიუმებში. ჩვენი ქვეყნის რომელი კუთხიდან ჩამოსულებს არ ნახავთ ჯავაში.

წელს კურორტი კარგად მოემზადა სეზონისათვის. კაპიტალურად შეკეთდა სანატორიუმები, შეძენილ იქნა ახალი სამედიცინო აპარატურა და რბილი ავეჯი.

## ჯილდო — მოწინავეებს

**ტყვარჩელი.** (საკ. კორ.). შესანიშნავ შრომით წარმატებას მიაღწია აპრილში ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მეექვსე შახტის კოლექტივმა, რომელმაც ქვანახშირის მოპოვების ერთი თვის დავალება 104,9 პროცენტით გაანაღდა. ამ წარმატებისათვის კოლექტივს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ტყვარჩელის რაიკომის გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

შახტის კოლექტივი ნაყოფიერად მუშაობს ახლაც. ნაკისრი ვალდებულების ანგარიშში აქაურმა მეშახტეებმა წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით 1.600 ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღეს.

# ჩვენი რესპუბლიკის დღე

## შემჭიდროვებულ ვადებში, უდანაკარგოდ ავიღებთ პურეულის მოსავალს

### — ამბობენ არხილოსკალოელი მექანიზატორები

პურისა და ქერის ყანებს ოქროს ფერი დაედო. მალე მკა დაიწყება. ჩვენი აგრეგატის წევრებმა უკვე შემოსულ ქერს ბალახი შემოუთიბეს და მინდვრის ხომალდი საწყის ზღუდეზე დააყენეს.

ჩვენი აზრი ახლა მიმართულია იქითკენ, რომ შემჭიდროვებულ ვადებში და უდანაკარგოდ ავიღოთ შვიდწლედის მეორე წლის მოსავალი.

არხილოსკალოელებმა წელს ნაყოფიერად ვიმუშავეთ და შრომამაც დაგვიფასდა. კოლმეურნეობას 2.195 ჰექტარი ხორბლეული უთესია. ყანები ისეთია, რომ ჰექტარზე 20-21 ცენტნერ პურეულის მოსავალს მოველით, ცალკეულ ფართობებზე კი 30 ცენტნერ მარცვალს მივიღებთ. შარშანდელთან შედარებით ეს 5 ცენტნერით მეტი იქნება.

ჩვენი აგრეგატი ყოველმხრივ მომზადებული ხვდება მოსავლის აღებას. კომბაინები, ტრაქტორები და ყველა საჭირო ინვენტარი უკვე შევაკეთეთ. ამ დღეებში აგრონომებთან ნ. ბაზერაშვილთან და ე. ქავთარაძესთან ერთად შევამოწმეთ ასაღები ფართობები, შევადგინეთ მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკი, წინასწარ ვიცით სად, რომელ ნაკვეთში დავიწყოთ პურეულის მკა.

წელს გათვალისწინებული გვაქვს ორ ფაზად მოსავალი ავიღოთ 100 ჰექტარზე ნაცვლად წინა წლის 30 ჰექტარისა.

ჩვენ, მექანიზატორებს, კარგად გვესმის, რომ მარცვლეული მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია, საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის მნიშვნელოვანი ბაზაა. მოსავლის წარმატებით აღების ბედს წყვეტს მძლავრი ტექნიკის სრული დატვირთვით გამოყენება. ამიტომ აგრეგატის კოლექტივმა გადაწყვიტა ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში და იკისრა შემდეგი ვალდებულებანი:

**თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება 819 ჰექტარზე უზრუნველვყოთ ათ სამუშაო დღეში. თვითეული კომბაინის სადღეღამისო წარმადობა ავიყვანოთ სულ მცირე 20 ჰექტარამდე ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა და საშუალოდ ჰექტარზე გავლეწოთ 21 ცენტნერი მარცვალი;**

**კომბაინზე მოვაწყობთ მარცვალსაშრებს, აგრეგატს ვამუშავებთ დღისით და ღამით, აგრეგატზე გვექნება ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი, მანქანის სრული დატვირთვით გამოყენების მიზნით ბუნკერიდან მარცვლის გადმოცლას ვაწარმოებთ აგრეგატის გაუჩერებლად.**

**პურეულის მკის მთელ სეზონში დავზოგავთ 10 პროცენტ საწვავს. სიმინდისა და მზესუმზირის მოსავალს ავიღებთ მექანიზმებით.**

**ნაწვერალზე სიმინდს დავთესავთ 50 ჰექტარზე კვადრატულ-ბუდობრივად. ამასთან ამ ფართობს დავამუშავებთ ცნობილი მექანიზატორის ნ. მანუკოვსკის მეთოდით და საშუალოდ ჰექტარზე უზრუნველვყოფთ 400 ცენტნერი მწვანე მასის მიღებას.**

**პურეულის მოსავლის აღების პარალელურად ენერგიულად ვიბრძოლებთ მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის. წელს უზრუნველვყოფთ 3 ათასი ტონა ხარისხოვანი სიმინდის სილოსის ჩადებას, ამასთან გავთიბავთ 20 ჰექტარ ბუნებრივს და 10 ჰექტარ ერთწლიან ბალახს.**

ჩვენი აგრეგატი მუშაობს სახელმოხვეჭილი მექანიზატორის ნ. მანუკოვსკის მეთოდით. **პირობას ვიძლევით ჩვენს განკარგულებაში არსებულ მთელ მექანიზმებს სრული დატვირთვით ვამუშავებთ, მინიმუმამდე დავიყვანთ მუშახელის გამოყენებას პურეულის მოსავლის აღებისა და სიმინდის ნათესების შრომატევად სამუშაოებზე.**



გ. თინაშვილი.

* * *

ვიკისრეთ რა ეს ვალდებულებანი, ჩავებით სოციალისტურ შეჯიბრებაში ცნობილ მექანიზატორ მანუკოვსკისთან და თეთრწყაროელ მექანიზატორთან, აგრეგატის ხელმძღვანელ მიკირტუმაშვილთან.

კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება დიდად შეუწყობს ხელს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის მოკლე ვადაში და უდანაკარგოდ აღებას.

**გიორგი თინაშვილი,** წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოსკალოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პირველი სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი, აგრეგატის უფროსი, კომბაინერი. **ლევან დავითური,** ტრაქტორისტი, **გიორგი გვრიტიშვილი,** მეშტურვალე.

## ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ო. პაუერსისადმი

ამას წინათ ო. პაუერსმა, ამერიკის იმ „ლოკჰიდ უ-2" თვითმფრინავის მფრინავის მამამ, რომელიც შემოიჭრა საბჭოთა კავშირის ფარგლებში და, როგორც ცნობილია, 1 მაისს საბჭოთა რაკეტულმა ნაწილებმა ჩამოაგდეს ქალაქ სვერდლოვსკის რაიონში, წერილი გამოუგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ქვემოთ ქვეყნდება ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი აღნიშნულ წერილზე.

□

**ოლივერ პაუერსს**
ქალ. პაუნდი,
ვირჯინიის შტატი.

მივიღე თქვენი წერილი, რომელშიც მთხოვთ გადავცე თქვენს შვილს დედის ბარათი. თქვენ იწერებით, რომ დართულია ბარათი, მაგრამ კონვერტში ბარათი რატომღაც არ აღმოჩნდა.

უნდა გაცნობოთ, რომ თქვენს შვილს გაასამართლებენ საბჭოთა კავშირის კანონების მიხედვით. კანონი კანონია, და მე არ ძალმიძს ჩავერიო საქმეში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო ორგანოების კომპეტენციას ეკუთვნის.

თუ მოისურვებთ ჩამოხვიდეთ საბჭოთა კავშირში, რათა ინახულოთ შვილი, მზად ვარ ხელი შეგიწყოთ ამაში.

**ნ. ხრუშჩოვი.**

1960 წლის 31 მაისი.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### მებაღე-დეკორატორ მ. ა. მამულაშვილისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოში დეკორაციული მებაღეობის განვითარების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, მიენიჭოს მებაღე-დეკორატორ მიხეილ ალექსანდრეს ძე მამულაშვილს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი.
1960 წ. 11 ივნისი.

# ჩვენი ქართული ჩაი

## გუშინ პლანტაციებში



**ზუგდიდი.** (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში ერთ დღეს მოკრიფეს 210 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 18 ტონით მეტი, ვიდრე შარშან, სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ მოკრიფა 10.900 კილოგრამი, ინგირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ — 13.000 კილოგრამი, ჭაქვინჯის კოლმეურნეობამ კი — 6.345 კილოგრამი.

სოფელ ჩხორიის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ეთერ მიქავამ, თამარ სამუშიამ, მზია ჩქვანავამ ერთ დღეს თვითეულმა მოკრიფა 75 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ხოლო ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ნორა პაქელიანმა — 90 კილოგრამი. ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშამ მარიამ ლებედენკომ — 80 კილოგრამი.

**მახარაძე.** (საკ. კორ.). მახარაძელმა მეჩაიეებმა შარშანდელზე 1 მილიონ 400 ათასი კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ მაის-ივნისის დავალება 101,4 პროცენტით გაანაღდა.

სოფელ გვლმა დვაბზუს კოლმეურნეობაში მარგალიტა მახარაძემ ერთ დღეს მოკრიფა 120 კილოგრამი ჩაი და ამით დღიური დავალება 450 პროცენტით შეასრულა. სულ მოკრეფილი აქვს 3.500 კილოგრამი. სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის წევრმა მალინა მჟავანაძემ მოკრიფა 50 კილოგრამი, ხოლო ნინო გვაუამ — 65 კილოგრამი, სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაში საშა ქურიძემ მოკრიფა 110 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

**ლანჩხუთი.** (საკ. კორ.). რაიონში დაწინაურდა სოფელ მამათის კოლმეურნეობა, რომელიც წელს სამშობლოს 1.000 ტონა ჩაის ფოთოლს მისცემს. კოლმეურნეობამ მაისში მოკრიფა 320 ტონა ნაცვლად 300 ტონისა. ნორა კილაძემ მოკრიფა 90 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ეკატერინე ჩხაიძემ — 65 კილოგრამი, სუსანა დარჩიამ — 90 კილოგრამი, სოფელ ლესის კოლმეურნეობაში პაკუ სიხარულიძემ — 55, სუფუ ბარამიძემ — 65 კილოგრამი.

**წულუკიძე.** (საკ. კორ.). რაიონის მეჩაიეებმა ერთ დღეს მოკრიფეს 16 ტონა ჩაის ნედლეული. სულ მოკრეფილია 1.030,3 ტონა. ქალაქის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ მაის-ივნისის გეგმის გადამეტებით მოკრიფა 6 ტონაზე მეტი, ხოლო კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ — 3,6 ტონით მეტი. კრეფის ორი თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს სოფლების ქუტირის და წითელი ვარსკვლავის კოლმეურნეობებმა. გოჩა-ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გალინა ქამიბაძემ მოკრიფა 46 კილოგრამი ნაცვლად 20 კილოგრამისა, დღემდე სულ მოკრეფილი აქვს 1,5 ტონა ჩაი, ხოლო ივანდიდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა თინა კოპალიანმა მოკრიფა 36 კილოგრამი.



# ეს მშობლიური თბილისი

**2. შეხედეთ,** ეს მეორე ქალაქი არ გეგონოთ, საბურთალოა, ჩვენი თბილისის ერთ-ერთი უბანი, ისტორიულად ძველი ადგილი, მაგრამ ომისშემდგომ წლებში აღორძინებული, აშენებული და ასე დამშვენებული.

აბა რა იყო აქ არც ისე დიდი ხნის წინათ! თითო-ოროლა სახლი, ბევრგან ქოხმახიც, ბევრგან უკაცრიელი მინდორი. გაზაფხული ამწვანებდა ამ მიდამოთა ბალახ-ბულახს, და თუ წვიმა კაცს მოუსწრებდა, ხესაც ვერ ნახავდა თავშესაფარად, სამაგიეროდ თავს კარგად გრძნობდა, ველზე ბულრაობდა გალაღებული ნახირი.

და ამ უდაბურ მინდვრებზე თანდათანობით აღიმართნენ ხარაჩოთა ტყეები, აგუგუნდნენ ბულდოზერები, ექსკავატორები. მძლავრმა მანქანებმა გადათხარეს, გაასწორეს ბევრჯერ ნაომარი მიწა. რკინაბეტონით დაღუღაბდა ახალ შენობათა საძირკვლები. და მერე რამდენი!

მიდიოდა დღეები, თვეები, წლები. მხრებს შლიდა ჩვენი თბილისი და მიიწევდა ვაკისაკენ, საბურთალოსკენ. ისე გვიხაროდა მისი ზრდა, როგორც მშობელს ახლადფეხადგმული ბავშვის პირველი ნაბიჯი. თვალი შეეჩვია მის ზრდას, და ბოლოს ვერც შევამჩნიეთ, თუ როგორ აიყარა ტანი. დაჭაბუკდა, ბრგე ვაჟკაცად იქცა.

გიხაროდეს, ჩემო თბილისო, რომ შენი მკვიდრი წინაპრების სისხლითა და ოფლით გაპოხიერებულ მიწის გულ-მკერდზე დაიბადა და აღმოცენდა ახალი ქვეყნის მშენებელ ადამიანთა ჩინებული ნაამაგარი — ახალი ვაკე და საბურთალო.

ალისფერი ბაირაღით შეხვდა ხარაჩოებში ჩასმული სპორტის მომავალი სასახლე, ისევე როგორც მრავალი სხვა შენობა, პირველ მაისს და ყვავილების ზეიმს მაისის დამლევს. იგი ახლა დაკვრითი წესით შენდება. მალე ვიხილავთ მის ნათელ, განიერ დარბაზებში მოვარჯიშე კუნთმაგარ ახალგაზრდობას. შორიდან მიიზიდავს მნახველს ამ სასახლის შემინული გუმბათი, დღისით მზის ელვარება აკაშკაშებს, ღამით კი ნათურებით გაჩირაღდნდება.

აქვე მახლობლად შენდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მშვენიერი ანსამბლი. მტკვარს გადაჰყურებს მისი ერთ-ერთი საუცხოო თეთრი შენობა, რომელსაც მალე გვერდით ამოუდგებიან ჩვენი მშობლიური აკადემიის ახალი კორპუსები. შეიძლება ითქვას — ეს ჩვენი მეცნიერების, კულტურის მთელი ქალაქი იქნება დედაქალაქის ამ ახალ, დიადი მშენებლობის აღორძინებულ უბანში.

უზარმაზარი ხრამი ჰყოფდა ვაკესა და საბურთალოს. ქალაქის ორი უბანი შესანიშნავმა გზაგამტარმა [illegible] დააკავშირა ერთმანეთს. მგზავრებს არ სჭირდებათ შორიდან შემოვლა, კომფორტული ავტობუსები მიიყვანენ საწურველ ადგილამდე.

აბა ახლა რამდენ თბილისელს და შორეთიდან ჩამოსულ ტურისტს ნახავთ ლისის ტბისაკენ მიმავალს. მიეჩქარებათ, სურთ ცისფერ ტბაში გაიგრილონ მზით შერუჯული სხეული. მიდიან და მინდვრის ყვავილებსაც მიიკრეფენ გზადაგზა. ეს საბურთალოს ყაყაჩოებია, სიწითლით რომ ამშვენებენ ამ მიდამოებს.

ცა-ფირუზიდან დავცქერით დედაქალაქის მშრომელთა ქმნილებას — მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს, ინსტიტუტების შენობებს, ვაკისა და საბურთალოს განიერ პროსპექტებს, ქუჩებს, მოედნებს, მომავალ ბაღებს, ხეივნებს. ზოგს სახელიც არ ჰქვია და ნომრით არის აღნიშნული მშენებელთა რუკებზე.

ერთი წელი არ არის, რაც ამ სურათზე გადაღებულ ზოგიერთ სახლს საძირკველი ჩაუყარეს. სახლი მალე აშენდა და ჩრდილს აფენს მის წინ დარგულ პაწაწინა ნაძვებს და ჭადრებს. ათეული წლების შემდეგ ეს ხეებიც დაიზრდებიან და კენწეროთი მიწვდებიან სახურავებს. რამდენს დაატკბობს მათი შრიალი, საამო შარიშური. ხეებიც გაგვაგონებენ ფოთლების სიმფონიას ჩვენი დროის სადიდებლად, ახალი თბილისის მშენებელთა სადიდებლად.

იშრიალეთ, იშრიალეთ, საბურთალოს ხეებო! თქვენც გაიზრდებით, გაშლით ჯმუხა ტოტებს და სიმწვანით დაამშვენებთ ხუთ-ექვსსართულიან სახლებს, ახლა რომ მაღლიდან დაგყურებენ მთელი სილამაზით და მშვენიერებით.



**სურათებზე:** ახალი საბურთალო.

# ქალაქებს ზრდა და გაფურჩქვენა!

**10 ივნისს** მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში, მუშაობა დაამთავრა სრულიად საკავშირო თათბირმა ქალაქთმშენებლობის საკითხებზე, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწვიეს.

ქალაქთმშენებლობის საკითხთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მიმართვა საქალაქო მშენებლობის ყველა მუშაკისადმი, ყველა მშრომელისადმი.

**კომუნისტური საზოგადოების აშენების ისტორიული ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი ეკუთვნის ქალაქთმშენებლობას. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მუშათა დაბებიდან გაიზარდა და ხელახლა აშენდა დაახლოებით 900 ქალაქი. ძირეული ცვლილებანი ჩვენს ქალაქთმშენებლობაში მოხდა უკანასკნელ 5-7 წელიწადში. წარმატებით წყდება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული საერთო სახალხო ამოცანა ჩვენს ქვეყანაში ბინის ნაკლებობის უახლოეს 10-12 წელიწადში ლიკვიდაციის შესახებ. გრანდიოზული ამოცანები უნდა გადაჭრან ქალაქთმშენებლებმა შვიდწლედში. აშენდება დაახლოებით 15 მილიონი ბინა, ჩვენი ქვეყნის საქალაქო საბინაო ფონდი გადიდდება 1,6-ჯერ. უდიდესი მშენებლობა გაჩაღდება სოფლად.**

**ამ ამოცანების გადასაჭრელად, ხაზგასმით აღნიშნულია მიმართვაში, ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს. სოციალისტური სისტემის ძირეულმა უპირატესობამ კაპიტალისტური სისტემის წინაშე ჩვენს ქვეყანაში ქალაქთმშენებლობის ყოველმხრივი განვითარების განუსაზღვრელი პერსპექტივები შექმნა.**

**საბჭოთა ქალაქთმშენებლობა, ნათქვამია შემდეგ მიმართვაში, როგორც პარტია გვასწავლის, უნდა დაექვემდებაროს კომუნიზმის მშენებლობის დიად მიზანს, ჩვენი საზოგადოების ყველა წევრისათვის შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების საუკეთესო პირობების შექმნას, მათს ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარებას.**

### ქალაქთმშენებლობის საკავშირო თათბირის მონაწილეთა მიმართვა საქალაქო მშენებლობის ყველა მუშაკისადმი, ყველა მშრომელისადმი

**ამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრისას საჭიროა ვითვალისწინებდეთ არა მარტო დღევანდელი დღის მოთხოვნილებას, არამედ აგრეთვე ნათლად წარმოვიდგენდეთ ქალაქების შემდგომი განვითარების გზებს. მშენებელთა უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ უფრო აქტიურად და შემოქმედებითად გადაჭრან ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ქალაქებისა და არსებული ქალაქების, მუშათა დაბებისა და სოფლების შექმნასთან და განვითარებასთან.**

**საბჭოთა სახელმწიფო დიდ ზრუნვას იჩენს ქალაქების კომუნალური მეურნეობისა და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ ქალაქთმშენებლებს, მრეწველობის, კომუნალური მეურნეობის, საქალაქო ტრანსპორტის მუშაკებს მეტი ზრუნვა გამოიჩინონ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის.**

**თათბირის მონაწილენი მოუწოდებენ საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივებს, არქიტექტორებს, მიწათმოწყობებს, ინჟინრებს, მშენებლებს, სოფლის ინტელიგენციას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა მშრომელს გააძლიერონ ყურადღება სასოფლო დასახლებული ადგილების განაშენიანების გაუმჯობესებისადმი, შექმნან პირობები სასოფლო მშენებლობის ინდუსტრიალიზაციისათვის, ყოველი ღონისძიებით განამტკიცონ სოფელ ადგილებში სამშენებლო ინდუსტრიის სარაიონთაშორისო საწარმოო ბაზები. ყველა მშენებელი, სამშენებლო ინდუსტრიის, კომუნალური მეურნეობის მუშაკი, არქიტექტორები და დამპროექტებლები, აღნიშნულია მიმართვაში, უნდა განიმსჭვალონ იმის შეგნებით, რომ მათ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ ხალხის წინაშე მათ მიერ აშენებული შენობებისა და ნაგებობების, ქალაქებისა და სოფლების ხარისხისათვის.**

**ქალაქების განვითარებით და მშენებლობით უშუალოდ დაინტერესებული მილიონობით საბჭოთა ადამიანი. ამიტომ ქალაქთმშენებლობა უნდა მიმდინარეობდეს საზოგადოებრიობის ფართო წრეების, მთელი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით. ქალაქთმშენებლობის საკითხებზე სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილენი მიმართავენ ყველა მშრომელს მოწოდებით: მუდმივი ზრუნვა გამოიჩინეთ ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების გაუმჯობესებისათვის, კეთილმოწყობისა და გამწვანებისათვის, შენობების, ნაგებობათა და მწვანე ნარგავთა შენახვისათვის!**

**მიმართვის დასკვნით ნაწილში ნათქვამია:**

**— ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენ გულისწყრომით ვგმობთ ამერიკელ აგრესორთა პროვოკაციებს, რომლებმაც დაარღვიეს სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრები, ჩაშალეს ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი პარიზში. შემოქმედებითი შრომით განვამტკიცებთ ჩვენი სახელოვანი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, მტკიცედ ვიბრძოლებთ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.**

**ქალაქთმშენებლების მრავალმილიონიანი არმიის სახელით პირობას ვაძლევთ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, მთელ ჩვენს ხალხს, რომ საბჭოთა ქალაქთმშენებლები მიაღწევენ გადამწყვეტ აღმავლობას ქალაქების მშენებლობასა და კეთილმოწყობაში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში.**

# სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილეთა დაჯილდოება

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საბჭოს კომიტეტმა მის მონაწილეთა დიდი ჯგუფი დააჯილდოვა დიპლომებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით სახალხო მეურნეობაში მოპოვებული დიდი მიღწევებისათვის. გამოფენის დიპლომებით დაჯილდოებულია საქართველოს 40-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებანი, რომლებმაც გამოფენაზე 1959 წელს უჩვენეს თავიანთი მიღწევები.

გამოფენის ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მიენიჭა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის 240-ზე მეტ მოწინავეს.

დიპლომებით დაჯილდოებულთა შორის არიან გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა, მელიქიშვილის სახელობის თბილისის ქიმიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო და სხვ.

დიდი და პატარა ოქროს, აგრეთვე ვერცხლის მედლები მიიღეს მოწინავე საწარმოებისა და ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა და კონსტრუქტორებმა, კოლმეურნეებმა, წარმოების ნოვატორებმა. მათ შორის აგრონომმა **ა. თოფურიძემ**, რომელმაც შეიმუშავა და დანერგა წარმოებაში დაფნის შპალერული გაშენება, ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო ნაწილში **ლ. მელიქაძემ**, რომელმაც მედალი მიიღო ქიმიური პროდუქტის „ნორიოლის" ტექნოლოგიის შემუშავებისა და ამ პროდუქტის დამზადების ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის, უმცროსმა მეცნიერ თანამშრომელმა **ა. ჯანელიძემ**, რომელმაც შექმნა და დანერგა დდ-58 კონსტრუქციის საწვიმარი აგრეგატი, მებაღე-დეკორატორმა **მ. მამულაშვილმა**, რომელიც დაჯილდოებულია ქალაქ თბილისისა და საქართველოს კურორტების ყვავილებით მხატვრული დეკორაციული გაფორმებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდებაში მიღწეული წარმატებებისათვის გამოფენის დიპლომები მიიღო 35 მეურნეობამ და ორგანიზაციამ, აგრეთვე 200-ზე მეტმა მოწინავემ. საპატიო დიპლომით დაჯილდოებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რვა მოწინავე.

11 ივნისს ტექნიკის სახლში მოეწყო ჯილდოებისა და ფასიანი საჩუქრების გადაცემა. ჯილდოები გადასცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **მ. ი. კუჭავამ.**

# კარელიის ასსრ 40 წლისაა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კარელიის ასსრ უმაღლეს საბჭოს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სკკპ კარელიის საოლქო კომიტეტს გაუგზავნეს მისალმება. მისალმებაში ისინი მხურვალედ ულოცავენ საბჭოთა კარელიის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს დიდ დღესასწაულს — კარელიის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 40 წლისთავს.

მისალმებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში კარელმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ძმური დახმარებით ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილი აყვავება მოიპოვა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სკკპ ცენტრალური კომიტეტი სახელოვან კარელ ხალხს უსურვებენ ახალ წარმატებას ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში. (საქინფორმი).

# საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი

გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი.

პლენუმზე მოხსენებით — „რესპუბლიკის პროფკავშირთა ამოცანები „მუშებისა და მოსამსახურეების ხელფასის გადასახადების გაუქმების შესახებ" და „1960 წელს ყველა მუშისა და მოსამსახურის 7 და 6 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის დამთავრების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ კანონების მიღებასთან დაკავშირებით" — გამოვიდა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მ. ლელაშვილი.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: ი. ლავთაძე (საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე), ი. ჩიაევი (საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ი. მარიჩაშვილი (ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მთავარი ინჟინერი), ა. ვარდიშვილი (ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მმართველი), შ. კიკნაძე (ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი), ი. მიქელაძე (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ბ. ჩხეიძე (საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი), რ. ელიგულაშვილი (საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე) და სხვ.

განხილულ საკითხზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: ფ. დუმბაძემ, ი. რთველიაშვილმა, გ. ჩოგოვაძემ.

# მიწის განახლება

**გ. დ. ჯავახიშვილი,**

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**

**წყლის** ნაკლებობა აღმოსავლეთში, ნალექების სიუხვე, რომელიც იწვევს მიწების დაჭაობებას რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში, — ასეთია საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები.

ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის ბოლშევიკებს ურჩევდა: „რწყვა ყველაზე მეტად არის საჭირო და ყველაზე მეტად გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას".

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე რესპუბლიკაში შექმნილია მძლავრი სარწყავი სისტემები — ალაზნისა, ტირიფონისა, მაშველისა, მუხრანისა, თეზი-ოკამისა, ტაშისკარისა და ბევრი სხვა საინჟინრო ნაგებობა. ამჟამად 330 ათას ჰექტარზე მეტი მიწა ირწყვის. დაშრობილია 105 ათასი ჰექტარი. ეს უდიდესი სიმდიდრეა!

სარწყავ მიწებზე სამხრეთის მაცოცხლებელი მზის მოხებით ყველაფერი არაჩვეულებრივი სიმძლავრით იზრდება. ეს „მწვანე ოქროს" ნამდვილი ველებია. მათი საზღვრები აღნიშნულია ვაშლის, ატმის, მსხლის შესანიშნავი ბაღებით, ვენახებით, თამბაქოს პლანტაციებით, სიმინდისა და ბოსტნეულის ნათესებით. ხელოვნური გუბურები ფრინველთა სამყაროა; აქ მრავლად არის იხვი და ბატი. მნიშვნელოვნად გადიდდა მოსავლიანობა, მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

წარმოებს კაპიტალური სამუშაოები დიდი მდინარეების ცხენისწყლის, რიონის, ჭოროხის ნაპირების გასამაგრებლად, რომლებიც ხშირად ტბორავენ ათვისებულ მიწებს. ახალქალაქის, მარნეულის, ახმეტისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებმა უკანასკნელ წლებში ენერგიულად გააჩაღეს სატუმბავი სადგურებისა და ახალი სარწყავი არხების აგება.

მაგრამ არა გვგონია მართებული იყოს მხოლოდ აღტაცება იმის გამო, რაც ახლა სარწყავ და დაშრობილ მიწებზე ხდება. მეურნის თვალი აქ ბევრ დიდ ნაკლს ნახავს. მათგან მთავარია ის, რომ ყველა სარწყავ მიწას როდი იყენებენ ძვირფასი ტექნიკური კულტურებისათვის. მნიშვნელოვანი ფართობები ჯერ კიდევ დაკავებულია მარცვლეულის ნათესებით, ხოლო ზოგჯერ გადაქცეულია საძოვრებად. დიდია წყლის დანაკარგი არხებში. ჩვენი პირველი რიგის ამოცანაა გამოვიყენოთ ფილტრაციასთან ბრძოლის ეფექტიანი და იაფი საშუალებები.

მიმდინარე შვიდწლედში რესპუბლიკამ უნდა დაამთავროს მშენებლობა ზემო სამგორის სარწყავი სისტემისა და სიონის წყალსაცავისა მდინარე ივრის ხეობაში, 80 კილომეტრზე თბილისის აღმოსავლეთით. მდინარის კალაპოტი გადაიღობება მძლავრი ზვინული კაშხალით, რომლის სიმაღლე იქნება 72 მეტრი და სიგრძე 760 მეტრი. წყალსაცავის ტევადობაა 325 მილიონი კუბმეტრი წყალი. ასეთი მარაგი მთელი წლის განმავლობაში საკმარისი იქნება სამგორის ველის 90 ათასზე მეტი ჰექტარის მოსარწყავად. წყალსაცავი საქართველოს დედაქალაქისა და ქალაქ რუსთავის წყლით დამატებითი მომარაგების დიდმნიშვნელოვანი წყარო იქნება, უზრუნველყოფს ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ვარდნილებზე უკვე აშენებული სამი ჰიდროელექტროსადგურისა და კაშხალთან აგებული ჰიდროელექტროსადგურის მუშაობას.

სიონის წყალსაცავი შენდება 1952 წლიდან, სამუშაოთა მოცულობა უკვე 60 პროცენტით არის შესრულებული. ველში მოვიდა სინათლითა და სიხარულით აღსავსე ცხოვრება. ახალ სარწყავ მიწებზე შექმნილია მევენახეობის, მეხილეობა-მეკენკრეობის, მერძეეობისა და მეფრინველეობის პირველი საბჭოთა მეურნეობები, ორი ახალმოსახლეთა კოლმეურნეობა. არხების წყლით სარგებლობს აგრეთვე შვიდი ძველი კოლმეურნეობა. უახლოეს დროში რვა ათას ჰექტარ მიწაზე შეიქმნება კიდევ ერთი დიდი მერძეეობა-მებაღეობა - მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა.

როცა წყალსაცავის აგება დამთავრდება, შესაძლებელი გახდება ენერგიულად მოვკიდოთ ხელი ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის შექმნას. იგი მორწყავს 52 ათას ჰექტარ მიწას. გადახრუკული უდაბნო მწვანე ბაღებად და ვენახებად გადაიქცევა. სამგორის ველი მისი არაჩვეულებრივად ნაყოფიერი მიწებით რესპუბლიკის უმდიდრესი კუთხე გახდება.

**ჩვენი** დიდი სიმდიდრეა ჯერ კიდევ გაუტეხავი ყამირი — კოლხიდის დაბლობი. კოლხიდა 220 ათასი ჰექტარი საუცხოო მიწებია შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით. ყოველ გაზაფხულზე მდინარეები რიონი, ხობი, ენგური, კოდორი, რომლებიც კავკასიონის კალთებიდან მოედინებიან. აქ წყლით ფარავდნენ უზარმაზარ ტერიტორიებს. მდინარეებს „ეხმარებოდნენ" ნიაღვრის უხვი ნალექები. ათობით კილომეტრზე იყო გადაჭიმული ზღვის ნაპირის გაყოლებით ჭაობები, საფლობები, ლიანისა და მურყნის ტევრი. „ხაშმიანი ადგილები", „მალარიის სამეფო" — ასე უწოდებდა ხალხი კოლხიდის დაბლობს.

სამამულო ომის წინ და მისი დამთავრების შემდეგ განხორციელდა დიდი სამუშაოები კოლხიდის დასაშრობად. ჭაობებსა და საფლობებს წავართვით 60 ათასი ჰექტარი. იქ ახლა ითესება სიმინდი და სოია, ყოფილ ჭაობებზე გაშენებულია ჩაის, დაფნის პირველი პლანტაციები, შექმნილია ხეხილის ბაღები. იქ, სადაც ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, აღმოცენდნენ ახალი საკოლმეურნეო სოფლები ქვალონი, ხორგა, ჭალადიდი, კოლხიდა და რამდენიმე საბჭოთა მეურნეობის დაბები. ასფალტით დაფარულმა გზებმა დასერა ოდესღაც მიყრუებული ადგილები. დაირგო რამდენიმე მილიონი ევკალიპტი, რომლებსაც ხშირად ტუმბო ხეებს უწოდებენ.

მაგრამ სამუშაოები სრულებითაც არ არის დამთავრებული. აქ საჭიროა სატუმბავი სადგურები, ახალი მაგისტრალური და შემკრები არხები, სხვადასხვა კოლექტორები, ჯებირები მდინარეთა ნაპირებზე და ბევრი სხვა რამ.

**ერთ-ერთი** დიდი ამოცანაა ქალაქ ფოთის ახლოს პალიასტომის ტბაში ზღვის წყლის შესაღწევი გზის გადაღობვა. ტბას 1.800 ჰექტარი უჭირავს და ხელს უწყობს ვეებერთელა ტერიტორიის დაჭაობებას. პროექტით დასახულია აიგოს წყლის გადასაგდები კაშხალი რკინაბეტონის ხიმინჯებისაგან, რათა ზღვის წყალს ტბაში და მის უკან დაბლობ მიწებზე შესვლის შესაძლებლობა აღარ ექნეს. ტბა მტკნარწყლიანი გახდება, იქ თევზს მოაშენებენ.

გზა გადაეღობება პალიასტომის ტბაში შემდინარე ფიჩორში შემავალ წყლებსაც. ამისათვის შენდება დიდი არხი, რომელიც ფოთიდან შვიდ კილომეტრზე სპეციალური თხრილით იქ შეკრებილ წყალს პირდაპირ ზღვაში გადააგდებს, ამასთან გვერდს აუვლის ფიჩორსაც და პალიასტომსაც.

კოლხიდის ათვისება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანაა. უზარმაზარი ნაყოფიერი მასივი შეიძლება დიდი წარმატებით გამოყენებულ იქნას სუბტროპიკული კულტურების მსხვილი სამრეწველო წარმოებისათვის. ჩაის პლანტაციებმა დროთა განმავლობაში შეიძლება 30 ათასამდე ჰექტარი დაიკავოს. ეს სწორედ ის რეზერვია, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება ჩაიზე. ამინდის არახელსაყრელ პირობებშიც კი ახალგაზრდა საბჭოთა მეურნეობა „ახალმა სოფელმა" და სოფელ ქარიატის „პრავდის" სახელობის კოლმეურნეობამ, რომლებიც ხობის რაიონის დაშრობილ მიწებზე მდებარეობენ, საშუალოდ ჰექტარზე 3.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. დაშრობილ მიწებზე უკვე დღეს შეიძლება რამდენიმე ათასი ჰექტარი ახალი ნარგავები გაშენდეს.

**ნიადაგისა** და ჰავის არაჩვეულებრივად ხელსაყრელი პირობებია დაფნის გასაშენებლადაც. ამ კულტურის გაშენების შესაძლებლობანი აქ უდიდესია. ეს საშუალებას მოგვცემს სავსებით დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მოთხოვნილება დაფნის ფოთოლზე და ათასობით ტონა ფოთოლი გამოვყუთ საექსპორტოდ.

კოლხიდაში ახმაურდება ბამბუკის ჭალები, სუბტროპიკული ხურმის, თხილის, ლეღვის, თუთის, გერანის, რეჰანის და სხვა კულტურათა პლანტაციები. გარდა ამისა, ათვისებულ მიწებზე შეიძლება შეიქმნას ბაზა დიდძალი ხორცისა და რძის წარმოებისათვის. კოლხიდის ათვისებაზე დაბანდებული სახსრები მოკლე ვადაში ანაზღაურდება.

ახლა ბელორუსიელ სპეციალისტთა კომპლექსური ბრიგადა ჩვენს მუშაკებთან ერთად აწარმოებს საცდელ სამუშაოებს ბიჭვინთის ტერიტორიის დასაშრობად გაგრის რაიონში, ხოლო დადებითი შედეგების მიღების შემდეგ მექანიზმები გადაყვანილ იქნება კოლხიდის დაბლობის დასაშრობად.

საჭიროა საქართველოს მთავრობამ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს კომპლექსი ღონისძიებებისა კოლხიდის დაბლობის მიწების ასათვისებლად და პრაქტიკულად შეუდგეს ამ ღონისძიებათა განხორციელებას. ამავე დროს ჩვენ უნდა მოვაწესრიგოთ ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების პლანტაციების გასაშენებლად ვარგისი ყველა მიწის გამოყენება.

შორს არ არის ის დრო, როცა კოლხიდის „ხაშმიანი ადგილები" და სამგორის გაშიშვლებული უდაბნოები აყვავებულ წალკოტებად და პლანტაციებად იქცევა.

ქ. თბილისი.

(„იზვესტია", 10-VI).

კომუნისტი

მე-2 გვერდი, კვირა,
12 ივნისი, 1960 წ.

# პრემიერო კისი, გადადექ!

**ტოკიო,** 11 ივნისი. (საკდესი). დღეს იაპონიის დედაქალაქში გაიმართა მასობრივი სვლები, რომლებითაც იაპონელმა ხალხმა აღნიშნა ის, რომ დაიწყო მორიგი, მე-18 ტალღა ერთობლივი მოქმედებისა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, შეერთებულ შტატებთან სამხედრო კავშირის წინააღმდეგ. შუადღიდან მშრომელთა, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა, სტუდენტთა მრავალათასიანი კოლონები ქალაქის ყველა კუთხიდან გაემართნენ ქალაქის ცენტრალური რაიონებისაკენ, სადაც განლაგებულია პარლამენტი, პრემიერ-მინისტრის რეზიდენცია და ამერიკის საელჩო.

მთელი რაიონი, რომელშიც განლაგებულია პარლამენტის და პრემიერის რეზიდენცია, საღამოს 5 საათისათვის გარშემორტყმული იყო დემონსტრანტებით. უშიშროების ხელშეკრულების წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული საბჭოს მონაცემებით, იქ შეიკრიბა 250 ათასზე მეტი კაცი. ამ რაიონში სულ შეწყდა მთელი მოძრაობა. დღევანდელ დემონსტრაციას განსაკუთრებით მკაფიოდ გამოხატული ანტიამერიკული ხასიათი ჰქონდა. იაპონიის მთავრობამ, რომელიც შეაშინა გუშინდელმა „შეხვედრამ“, რაც დედაქალაქის მშრომელებმა მოუწყეს „თეთრი სახლის“ პრესის საკითხთა მდივანს ჰეგერტის, დღეს დარაზმა პოლიციის მთელი ძალები. პარლამენტის შენობას იცავდა 8.000-ზე მეტი პოლიციელი, ამერიკის საელჩოს — 2.000-ზე მეტი, კისის რეზიდენციას — ათასამდე პოლიციელი. პრემიერის რეზიდენცია ალყაშემორტყმულ ციხეს ჰგავდა, ხოლო მისი გალავნის კედლებს შემოარტყეს დამატებითი მავთულლობურები. მავთულლობურები შემოარტყეს აგრეთვე პარლამენტის გალავანს, ჯავშანმანქანები მთლიან რკალად ჰქონდა შემოვლებული ადგილობრივ „თეთრ სახლს“, როგორც აქ ეძახიან ამერიკის საელჩოს. ჰეგერტის ადგილსამყოფელს მკაცრ საიდუმლოდ ინახავენ. პრემიერმა კისიმ და მასთან ახლო მყოფმა პირებმა, ამერიკის საელჩოს თანამშრომლებმა ვერ გაბედეს ჩვენებოდნენ ხალხს და თავიანთ რეზიდენციებში იმალებოდნენ.

მაგრამ გაძლიერებულ პოლიციელთა კორდონები, მასიური კედლები და გალავნები ვერ უშლიდა ხელს იმას, რომ მათ გაეგონათ იაპონელი ხალხის ხმა: ძირს უშიშროების სამხედრო პაქტი! ამერიკელებო, წაეთრიეთ იაპონიიდან! პრემიერო კისი, გადადექ! დაითხოვეთ პარლამენტი! ეს მოთხოვნები დღეს გახდა საერთო ეროვნული ლოზუნგი იაპონიის მთელი დემოკრატიული პროგრესული ძალებისა, რომელნიც დღეს გამოვიდნენ იაპონიის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში. წინასწარი მონაცემებით, მშრომელთა ანალოგიური დემონსტრაციები და სვლები დღეს გაიმართა იაპონიის 400 ქალაქში.

## ნიქსონი ამწვავებს მდგომარეობას

**ნიუ-იორკი,** 11 ივნისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ნიქსონი თავგამოდებით იცავს ცივი ომის ისტერიის გაღვივების კურსს. თავის წინასაარჩევნო სიტყვების სერიაში იგი ცდილობს ამერიკელ ამომრჩეველს შეუქმნას შთაბეჭდილება, თითქოს საბჭოთა კავშირთან შეუძლებელია რაიმე მშვიდობიანი მოწესრიგება.

გუშინ მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე ნიუ-იორკის სასტუმრო უოლდორფ ასტორიაში ნიქსონმა განაცხადა, რომ „კონფლიქტი რუსეთთან“ შესაძლოა არ გადაიჭრას 50 წლის განმავლობაში.

როგორც დეპეშათა სააგენტოები იუწყებიან, ნიქსონის აზრით, ეს კონფლიქტი შეიძლება ომით „გადაიჭრას“. მართალია, იგრძნო რა, რომ დიდ უკიდურესობაში გადავარდა, ნიქსონმა დასძინა, იმედი მაქვს ეს არ მოხდებაო.

ნიქსონმა თქვა, რომ „თავისუფალი სამყაროს“ დემოკრატიის პრინციპები ღირს იმად, რომ „მათთვის ვიბრძოლოთ, მსხვერპლი გავიღოთ და დავიხოცნეთ, თუ ეს საჭიროა“.

ნიქსონის გამოსვლა ზედმეტად მოწმობს იმას, რომ მონოპოლიების ამ აგენტს პრეზიდენტობის ერთ-ერთ პრეტენდენტს სურს „ცივი ომის“ კოჭლი ცხენით შევიდეს თეთრ სახლში.

## ინდონეზიას გადაეცა საბჭოთა ვერტმფრინავები

**ჯაკარტა,** 11 ივნისი. (საკდესი). დღეს ჯაკარტის აეროდრომ „კემაიორანზე“ გაიმართა ინდონეზიის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის ოთხი საბჭოთა „მი-4“ მარკის ვერტმფრინავთა გადაცემის ცერემონია. ეს ვერტმფრინავები ინდონეზიამ საბჭოთა კავშირისაგან შეისყიდა. ცერემონიას დაესწრნენ ინდონეზიის მთავრობის პირველი მინისტრი ჯუანდა, საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო და სხვა ოფიციალური პირები, ინდონეზიის შეიარაღებული ძალების სარდლობის წარმომადგენლები.

ცერემონიაზე გამოვიდა ინდონეზიის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსი მარშალი სურიადარმა, რომელმაც დიდად დააფასა საბჭოთა ვერტმფრინავების საფრენ-ტექნიკური მონაცემები და მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირს ინდონეზიისათვის ამ ვერტმფრინავთა გადაცემის გამო.

# ჟენევის თათბირზე

**ჟენევა,** 10 ივნისი. (საკდესი). დღეს გაიმართა 10 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მორიგი სხდომა. თავმჯდომარეობდა იტალიის დელეგაციის მეთაური მარტინო.

**ჟენევა,** 10 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). როგორც აქ ცნობილი გახდა, ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ფ. იტონი. მან პირველად გამოთქვა ზოგიერთი წინასწარი შენიშვნა საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ საბჭოთა მთავრობის ახალ წინადადებებზე. იტონმა დაადასტურა, რომ ახალ საბჭოთა წინადადებებში არის დადებითი ცვლილება მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებში. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ამ წინადადებებში დიდი ადგილი ეთმობა კონტროლს განიარაღებისადმი, ატომური იარაღის წარმოების შეწყვეტას განიარაღების გეგმის უკვე ადრე სტადიაში, უფრო მოქნილად არის დასმული საკითხი საყოველთაო და სრული განიარაღების ღონისძიებათა განხორციელების ვადის შესახებ.

ამასთან ერთად იტონმა გამოთქვა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა საბჭოთა გეგმის შესახებ და შენიშნა, რომ მათ წინასწარი ხასიათი აქვთ.

იტონის შემდეგ გამოსულმა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ა. ზორინმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ იტონისა და დასავლეთის სხვა წარმომადგენელთა როგორც დღევანდელ, ისე წინანდელ გამოსვლებში აშკარად ვლინდება ძველი მიდგომა საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხებისადმი, რაც ხელს უშლის წინსვლას მშვიდობის საქმისათვის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის პრაქტიკულ გადაჭრაში.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, თქვა ზორინმა, იძულებულია აღიაროს, რომ საყოველთაო და სრული

### დასავლეთის სახელმწიფოები ჯერ კიდევ არ არიან მზად საბჭოთა წინადადებების განსახილველად

განიარაღების ახალ საბჭოთა გეგმას აქვს სერიოზული დადებითი ცვლილებანი და ითვალისწინებს დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციების მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებს. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების მხრივ ჯერჯერობით არ ყოფილა რაიმე ნაბიჯი გადადგმული წინ არც ერთ დიდმნიშვნელოვან საკითხში, რათა თავიანთი პოზიციები დაუახლოვონ სოციალისტური ქვეყნების პოზიციებს და შეიმუშაონ ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევა. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ კვლავ განაცხადა, რომ არა სურს დაადგინოს განიარაღების ღონისძიებათა განხორციელების რაიმე ვადები, ხოლო უმნიშვნელოვანეს საკითხებში, რომლებიც წამოყენებულია საბჭოთა გეგმაში, — ატომური იარაღის მიტანის საშუალებათა ლიკვიდაციისა და სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციის საკითხში — აშკარად უარყოფითი პოზიცია უკავია.

შეეხო რა ამერიკის დელეგატის შენიშვნას, რომ საბჭოთა გეგმის პირველ ეტაპზე არ არსებობს ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების ღონისძიებანი, ვ. ა. ზორინმა აღნიშნა, რომ ამ საკითხში საბჭოთა წინადადებანი ითვალისწინებენ დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციებსა და სურვილებს, რომლებიც, როგორც ცნობილია, თავიანთ გეგმაში არ ითვალისწინებდნენ ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების არავითარ შემცირებას განიარაღების პირველ ეტაპზე. თუ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი მზად არიან ახლა კონკრეტული წინადადებანი შემოიტანონ ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ განიარაღების უკვე პირველ ეტაპზე, საბჭოთა კავშირი მზად არის განიხილოს ასეთი წინადადებანი და ვერ ხედავს სიძნელეებს ამ საკითხის დადებითად გადაჭრაში.

შეაჯამა რა პირველ კვირაში კომიტეტის მუშაობის შედეგები, ვ. ა. ზორინმა თქვა:

საბჭოთა დელეგაცია სინანულს გამოთქვამს, რომ ათი სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობის განვლილმა პირველმა კვირამ შესაძლებლობა არ მოგვცა პირდაპირ შევდგომოდით საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ საბჭოთა მთავრობის ახალ წინადადებათა კონკრეტულ განხილვას. ამ წინადადებათა საქმიანი განხილვა, რომელსაც ვესწრაფვით, იმიტომ არ დაწყებულა, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგაციები, როგორც აქ თვითონ განაცხადეს, ჯერ კიდევ მზად არ არიან ასეთი განხილვისათვის, რამდენადაც ჯერ არ დაუმთავრებიათ ჩვენი წინადადებების შესწავლა და ურთიერთ კონსულტაციები ამ წინადადებათა შესახებ. ჩვენ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ ამ გარემოებას.

ჩვენ არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ აგრეთვე იმ ფაქტს, რომ თუმცა კომიტეტის მონაწილე დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ჯერჯერობით განიარაღების პრობლემის არსზე ძლიერ ცოტა რომ თქვეს, მიუხედავად ამისა, მათი და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ნათქვამი არსებითად იმეორებს მათს წინანდელ პოზიციას, რომლის მიზანი, როგორც ცნობილია, იყო არა საყოველთაო და სრული განიარაღების ამოცანის გადაჭრა, არამედ კონტროლის ცალკეულ ღონისძიებათა შემუშავება განუიარაღებლად. ჯერჯერობით ჩვენ დასავლეთის სახელმწიფოთაგან სრულიად არ გაგვიგონია, რომ მზად არიან გადასინჯონ ეს პოზიცია, რათა დაადგინონ საყოველთაო და სრული განიარაღების ამოცანის პრაქტიკულად გადაჭრის გზას.

მაგრამ რამდენადაც დასავლეთის სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ განზრახვა აქვთ სერიოზულად და გულდასმით შეისწავლონ ახალი საბჭოთა წინადადებანი, ჩვენ მოველით, რომ ამ შესწავლის შედეგად ისინი გამოიტანენ კონსტრუქციულ დასკვნებს და თავის მხრივ გადადგამენ ნაბიჯს, რათა დააახლოვონ ჩვენი პოზიციები, როგორც ეს უკვე გააკეთეს სოციალისტურმა სახელმწიფოებმა ახალ წინადადებებში, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ შემოიტანა.

ჩვენ მოველით შემდეგი კვირის დამდეგიდან საყოველთაო და სრული განიარაღების ხელშეკრულების ძირითად დებულებათა შესახებ საბჭოთა მთავრობის ახალი წინადადებების საქმიან განხილვას.

## იაპონიაში ეიზენჰაუერის შეხვედრის „რეპეტიცია“

**ტოკიო,** 10 ივნისი. (საკდესი). „იანკი, წაეთრიე შინ!“ — ასეთი სიტყვებით შეხვდნენ დღეს ტოკიოში თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანს ჰეგერტს. იგი იაპონიაში ჩავიდა იმისათვის, რომ გამოარკვიოს ვითარება და განწყობილება იაპონიაში ეიზენჰაუერის მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით. ათი ათასობით იაპონელი პატრიოტი-სტუდენტები, მუშები, მოსამსახურეები — შეიკრიბა დილით ტოკიოს აეროდრომზე, რათა ჰეგერტისათვის განეცხადებინა პროტესტი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის იაპონიაში ვიზიტის წინააღმდეგ. ყველა გამოსასვლელი აეროდრომიდან ფაქტიურად ბლოკირებული იყო დემონსტრანტების მიერ. ისინი აქ მოვიდნენ სამგლოვიარო ნიშნით სახელოებზე, წითელი დროშებით, ტრანსპარანტებით, რომლებზეც ეწერა: „ძირს იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულება!“, „ჯანდაბას აიკი!“, „წაეთრიეთ შინ თქვენი ბაზებიანად და თვითმფრინავიანად „უ-2“!, „ჩვენ გვახსოვს ხიროსიმა!“

ჰეგერტი შეეცადა დემონსტრაციულად გაევლო საელჩოს კადილაკით დემონსტრანტთა მღელვარე ჯგუფებში. მაგრამ ეს ვარაუდი დაუყოვნებლივ ჩაიშალა. აეროდრომის ტერიტორიიდან გამოსვლისთანავე მანქანას, რომელშიც ჰეგერტი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი იაპონიაში მაკარტურ II ისხდნენ, მრავალათასიანი ხალხი შემოეხვია. დემონსტრანტებმა გაყარეს პოლიციელები და ძახილით „ჰეგერტი, წაეთრიე!“ მისცვივდნენ მანქანას, შედგნენ ზედ, დაიწყეს სახურავებზე მუშტის ცემა, ჩაამსხვრიეს შუშები. ჰეგერტის პირადი მცველები და ამერიკის საელჩოს თანამშრომლები ამაოდ ცდილობდნენ განთავისუფლებულიყვნენ შემომტევი ხალხისაგან. ჰეგერტის საშველად სასწრაფოდ გამოიწვიეს ტოკიოს პოლიციის მოტომექანიზებული რაზმი. მაგრამ მან ვერაფერი მოახერხა. პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის მოხდა ნამდვილი ბრძოლა. იხმარეს ხელკეტები, ქვები. ამ შეტაკებაში დაიჭრა სულ ცოტა 30 კაცი. ერთი საათის განმავლობაში ჰეგერტი და მაკარტური ფაქტიურად განრისხებული ხალხის ტყვეები იყვნენ. საგულისხმოა, რომ პოლიციის მოქმედებას, რომელიც ცდილობდა გზა გაეკაფა ამერიკის პრეზიდენტის მოციქულის მანქანისათვის, დღეს ხელმძღვანელობდა ამერიკელი ოფიცერი. ჰეგერტიმ გარემოცვიდან გამოსვლა მოახერხა მხოლოდ ამერიკის სამხედრო ვერტმფრინავით. დაახლოებით ერთ საათს ვერტმფრინავი თავს დასტრიალებდა ზღვა დემონსტრანტებს და ცდილობდა ძირს დაშვებულიყო. ბოლოს და ბოლოს, ვერტმფრინავიდან, რომელიც ხალხში გახირულ მანქანის თავზე გაჩერდა, ჩამოუშვეს თოკის კიბე, რის დახმარებითაც ჰეგერტი გაათავისუფლეს გარემოცვიდან.

ამ დროს კი ამერიკის საელჩოს შენობის წინ, სადაც ჰეგერტი უნდა მისულიყო, შეიკრიბა დაახლოებით ათი ათასი დემონსტრანტი, რომლებიც მოითხოვდნენ იაპონიაში ეიზენჰაუერის ვიზიტისა და იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულების გაუქმებას. ხელისუფლებმა ამერიკის საელჩოს დასაცავად გაგზავნეს ათასობით პოლიციელი და რამდენიმე ჯავშნიანი მანქანა.

ამავე დროს დემონსტრაცია გაიმართა პარლამენტის შენობის ახლოს, სადაც მმართველი პარტია ახლა ცალმხრივი წესით ცდილობს ზედა პალატას დაამტკიცებინოს უშიშროების ხელშეკრულება. დემონსტრანტები მოითხოვდნენ კისის გადადგომას, პარლამენტის დათხოვნას.

ჰეგერტის დღევანდელი შეხვედრა იაპონიაში იყო თითქოს ეიზენჰაუერის მომავალი შეხვედრის გენერალური რეპეტიცია; ეიზენჰაუერი იაპონიაში 19 ივნისს უნდა ჩავიდეს.

## შეშფოთება, განგაში

**ტოკიო,** 10 ივნისი. (საკდესი). პრემიერმა კისიმ, რომელიც შეაშინა იაპონიაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ეიზენჰაუერის ვიზიტის წინააღმდეგ იაპონელ მშრომელთა მძლავრმა გამოსვლამ, დღეს მოიწვია თავისი კაბინეტის საგანგებო სხდომა. იაპონიის მთავარი პოლიციის სამმართველოს უფროსმა და ტოკიოს პოლიციის სამმართველოს უფროსმა, რომლებიც ამ თათბირზე გამოვიდნენ, აღიარეს, რომ პოლიციამ ვერ უზრუნველყო წესრიგი და ჰეგერტის პირადი უშიშროება ტოკიოში მისი ჩამოსვლის შემდეგ, და მოითხოვეს, გათვალისწინებულ იქნეს დღევანდელი დღის გაკვეთილები და გამარტივდეს, რამდენადაც კი შესაძლებელია, იაპონიაში ეიზენჰაუერის ყოფნის პროგრამა.

შეეხო რა დღევანდელ ანტიამერიკულ გამოსვლებს, იაპონიის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ედამ განაცხადა, რომ იაპონელმა ხალხმა ასეთი შეხვედრა იმიტომ მოუწყო ჰეგერტის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის იაპონიაში მომავალი ჩამოსვლის მიზანია მხარი დაუჭიროს კისის კაბინეტს, რომელიც ინგრევა, იმიტომ რომ ეს მოგზაურობა არის არა კეთილი ნების მოგზაურობა, არამედ საინსპექციო მოგზაურობა ამერიკის სამხედრო ბაზებში — იაპონიაში, — სამხრეთ კორეაში, ფილიპინებსა და ტაივანზე. ასეთ მოგზაურობას ახლანდელ მომენტში, როცა საერთაშორისო ვითარება გართულდა, საშიში ხასიათი აქვს. ამიტომ, განაცხადა ედამ, ჩვენ მოვითხოვთ ამერიკის საელჩოსა და იაპონიის მთავრობისაგან გააუქმონ, სანამ გვიან არ არის, ეიზენჰაუერის ვიზიტი.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ **ნიუ-იორკი.** როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტოს კორესპონდენტი ჰავანიდან გადმოგვცემს, კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ, რომელიც 9 ივნისს ჩილიში მიწისძვრის მსხვერპლთა დასახმარებლად მასალებით დატვირთული გემის გაგზავნის შემთხვევის გამო განაცხადა, რომ შეერთებული შტატები კუბას ემუქრებიან „დანაშაულებრივ აგრესიას“. ჩვენ გვემუქრებიან, დასძინა მან, უფრო მეტ ნგრევას და ადამიანთა „უფრო მეტ მსხვერპლს, ვიდრე ჩილის მოუტანეს ბუნების ბრმა ძალებმა“.

◆ **ვაშინგტონი.** ამერიკის მხედრიონი ისწრაფვის გააძლიეროს საერთაშორისო დაძაბულობა და ქმნის შეერთებულ შტატებში ომის ფსიქოზის ვითარებას. პენტაგონმა ვერ მოასწრო მრავალი დღის სამხედრო განგაშის განხორციელება, რაც თავდაცვის მინისტრმა ჰეიტსმა 2 ივნისს ღამით გამოაცხადა, რომ ამერიკელმა გენერლებმა შეიმუშავეს ახალი „საბრძოლო ოპერაცია“.

შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ გამოაცხადა, რომ ამიერიდან ატომურ ბომბდამშენებს „დვ-47“ ბაზები ექნებათ არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე სამოქალაქო აეროდრომებზე, „რათა შეუძლებელი გახდეს ყოველი მოწინააღმდეგისათვის ბომბდამშენი ავიაციის ადგილსამყოფელის გამორკვევა ყოველ მოცემულ მომენტში“.

◆ **ჯაკარტა.** ანტარას სააგენტო გადმოგვცემს: ინდონეზიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, ინფორმაციის მინისტრმა მალადიმ 9 ივნისს კატეგორიულად უარყო უცხოეთის პრესის ცნობა, რომელიც ავრცელებდა ხმებს, რომ ინდონეზიის არმიამ „ხელთ იგდო ხელისუფლება და დააპატიმრა პრეზიდენტი სუკარნო“.

მალადიმ განაცხადა, რომ ინდონეზიაში ყველამ იცის, რომ ეს ცნობები სრულიად არ შეეფერებიან სინამდვილეს.

## სამგლოვიარო ცერემონიები სტამბოლსა და ანკარაში

**პრაღა,** 10 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი სტამბოლიდან გადმოგვცემს, იმასთან დაკავშირებით, რომ ანკარაში გადაიტანეს ორი ახალგაზრდა სტუდენტის გვამი, რომლებიც მენდერესის რეჟიმის წინააღმდეგ დემონსტრაციის დროს მოკლეს 27 და 29 აპრილს სტამბოლში, გუშინ გაიმართა დიდი დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ასეულმა ათასმა კაცმა. რესპუბლიკის დამაარსებლის ათათურქის დაკრძალვის შემდეგ სტამბოლში ერთხელაც არ გამართულა ასეთი ამაღელვებელი სამგლოვიარო ცერემონია. ჩამოშვებულია ყველა ალამი და ვაჭრებმა გლოვის ნიშნად მაღაზიები დახურეს.

ამ ცერემონიათაგან პირველი გაიმართა უნივერსიტეტის პარკში ათათურქის ძეგლის წინ, სადაც რამდენიმე კვირის წინათ პოლიციამ დახვრიტა სტუდენტები, რომლებიც გაიძახოდნენ „თავისუფლება!“

**ლონდონი,** 10 ივნისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ანკარიდან გადმოგვცემს, დღეს ანკარაში გაიმართა „თავისუფლებისათვის წამებულთა“ — იმ სამი კაცის საზეიმო დაკრძალვა, რომლებიც დაიღუპნენ გამოსვლების დროს, რამაც მენდერესის რეჟიმის დამხობა გამოიწვია. ისინი დაკრძალეს ქემალ ათათურქის — თანამედროვე თურქეთის დამაარსებლის მავზოლეუმის ახლოს.

დაკრძალეს 22 წლის ლეიტენანტი ალი იხსან ყალმაზი, რომელიც ანკარაში დახვრიტეს გადატრიალების დროს, აგრეთვე ორი სტუდენტი, რომლებიც დემონსტრაციის დროს დაიღუპნენ სტამბოლში. სტუდენტების გვამები ანკარაში მატარებლით მიასვენეს.



## კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პლენუმი

**კრასნოდარი.** (საკდესი). სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პლენუმმა განიხილა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის სერიოზულ ნაკლოვანებათა საკითხი.

ყუბანის მშრომელებმა დიდი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად, შვიდწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად.

1959 წლის და 1960 წლის 5 თვის შედეგები მოწმობენ, რომ ეს ვალდებულებები დამაკმაყოფილებლად არ სრულდება. ყუბანის სოფლის მეურნეობის მუშაობის მაჩვენებლები უკანასკნელ ხანს იმ საშუალო მაჩვენებლებზე ნაკლებია, რომლებიც რუსეთის ფედერაციამ მოიპოვა. ეს მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ სკკპ სამხარეო კომიტეტი და მისი პირველი მდივანი ამხ. მატიუშკინი ზერელედ, არაკონკრეტულად ხელმძღვანელობდნენ სოფლის მეურნეობას, ვერ უზრუნველყვეს სათანადო გავლენა მშრომელთა ფართო მასებზე.

პლენუმის მონაწილეები შეშფოთებით ლაპარაკობდნენ იმის შესახებ, რომ ყუბანის უმდიდრეს ბუნებრივ შესაძლებლობას ცუდად იყენებენ სოფლის მეურნეობის და განსაკუთრებით მეცხოველეობის პროდუქტიულობის გასადიდებლად, რომ კადრებთან მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის, ცალკეული რაიონების მეურნეობის სპეციალიზაციის საკითხებში გაუბედაობა და უპრინციპობაა, დაბალია მშრომელთა შორის ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის დონე.

სკკპ კანევის რაიკომის მდივანმა ამხ. კოლესნიკოვმა აღნიშნა, რომ სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკები არ ეთათბირებიან რაიონულ მუშაკებს, გატაცებული არიან უნაყოფო სხდომებითა და თათბირებით. სოფლის მეურნეობის ზერელე ხელმძღვანელობაზე ილაპარაკა სკკპ კრასნოგვარდეისკის რაიკომის მდივანმა ამხ. კოზლოვმა.

პლენუმმა გაათავისუფლა ამხ. მატიუშკინი სკკპ სამხარეო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა ერთხმად აირჩია სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად გ. ი. ვორობიოვი.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფსრ ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ ა. ბ. არისტოვმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა.

# ეს მშობლიური თბილისი

**3.** ახლა შევუდგეთ ამ მიხვეულ-მოხვეულ გზას და კვლავ ვინახულოთ საქართველოს პარნასი, ქართველი ხალხის სულიერ მამათა საყვარელი სავანე, დიდებული მთაწმინდა, იგი ხომ ჩვენი ეროვნული დიდებაა. მის დიდებაზე ჟღერდა ოდიდან ხმატკბილი სიტყვა, ქართული ქნარი.

ახვალ მთაწმინდაზე, ინახულებ ხალხის გულის მესაიდუმლეთა წმინდა საფლავებს, და როგორ შეიძლება არ გაიხსენო ბარათაშვილის გენიალური სტრიქონები:

„ოი, მთაწმინდავ,
მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი
დამაფიქვრელნი,
ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ შვენიან,
როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს სალამოს,
ლაშთენ ამოს ციაგნი ნელნი!“

როგორ შეიძლება აქ არ გაიხსენო აკაკის გულიდან ამონაკვნესი:

„მთაწმინდა ჩაფიქრებულა,
შეჰყურებს ცისკრის ვარსკვლავსა“,

როგორ შეიძლება არ მოიგონო გალაკტიონის ბრწყინვალე პწკარები:

ჯერ არასდროს არ შობილა,
მთვარე ასე წყნარი!
მდუმარებით შემოსილი
შელამების ქნარი“.

აქ ხომ ქართლის დედა დასტირის დიდ ილიას, პიტალო კლდეს წარმოგვიდგენს ვაჟას ძეგლი, ჩაგვაფიქრებს გრიბოედოვის და მისი უმშვენიერესი მეუღლის ნინო ჭავჭავაძის საფლავები.

მგოსანთა შთაგონების კერაა ჩვენი მთაწმინდა. ნეტავ შეეძლოთ აქ განსვენებულ დიდ მთაწმინდელებს ერთხელ მაინც გაღვიძება, რომ თვალი მოავლონ მათ წინ გადაშლილ ასე მშვენიერ, გაზრდილ, აყვავებულ მშობლიურ თბილისს. რა ძლიერად, მთელი სიდიადით დახატავდნენ შენს სილამაზეს ჩვენი ერის სულმნათი მეჩირადდენი, ჩვენო მზიურო ქალაქო!

ქვის ჯებირებში ჩაუსვამთ საქართველოს დედამდინარე — ჩვენი მშობლიური მტკვარი.

ეს ის ადგილია, სადაც უდიდესი ქართველი პოეტი, ერის სულმნათი ნიკოლოზ ბარათაშვილი ხშირად მისულა გულჩათხრობილი და გულისტკივილით უთქვამს:

„წარვედ წყალის პირს
სევდიანი ფიქრთ გასართველად“.

ეს ის ადგილია, სადაც მეოცე საუკუნის ბუმბერაზი პოეტი — მთაწმინდის გედი გალაკტიონი ტკბილად უმღერდა ძველი ქალაქის სანაგვედ ქცეულ მადათოვის კუნძულსაც:

„გადაფრენას ეს ყორანი
მადათოვზე აპირებს.
გაანათებს რესტორანი
ტივებიან ნაპირებს“.

შმორის ბუდე, კოღოების კერა იყო წინათ ეს არემარე თბილისის შუაგულში. აქ ახლა თვალს სილამაზით იტაცებს სტალინის სახელობის სანაპირო.

ჭადრების ხეივანს, ალვის ხეებს, ყვავილებს დაუმშვენებია ეს მშვენიერი მიდამო. აბა რა გული გაგიძლებს, რომ არ მიულოცო მტკვარს მისი ნაპირების ასე დამშვენება, გალამაზება.

ხუთწლედების მანძილზე გაშენდა და ომის წლების შემდეგ დამთავრდა დედაქალაქის ამ საუცხოო მაგისტრალის, წალკოტად ქცეული სანაპიროს მშენებლობა. მტკვარზე აიგო ახალი გაიერი ხიდები, ორთაჭალის ჰიდროელსადგური. შე ი ტბორა ოდესღაც ღალად მობუტბუტე, მძიმე წარსულის ვარამზე მომჩივარი მდინარე, სადაც ახლა ნავები, კატარღები სერავენ მის ფირუზისფერ ჩქერებს. სანაპირო უმოკლესი მანძილით აკავშირებს ერთმანეთთან ქალაქის ქუჩებს

* * *

**სურათებზე:** ზემოთ — მთაწმინდა; ქვემოთ — სტალინის სახელობის სანაპირო.



## „ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ რუსთაგან“

**ლონდონი,** 10 ივნისი. (საკდესი). ლიბერალურმა გაზეთმა „ნიუს ქრონიკლმა“ გამოაქვეყნა სტატია თავისი კორესპონდენტის დუგლას ბრაუნისა, რომელიც ამას წინათ საბჭოთა კავშირში იყო. უზიარებს რა მკითხველებს შთაბეჭდილებას მოგზაურობის შესახებ, ბრაუნი აღნიშნავს საბჭოთა ქვეყნის მიღწევებს და დასავლეთს მოუწოდებს მოიშოროს თვალებზე რიდე, რომელიც უშლის ამ მიღწევების დანახვას და გაგებას.

„რუსეთში მე გავემგზავრე, — წერს იგი, — დიდი შიშით, რაც გამოწვეული იყო იმ ლიბერალი ჟურნალისტების კორესპონდენციებით, რომლებიც რუსეთში ჩემამდე იყვნენ. ჩემი საკუთარი შთაბეჭდილებანი შეუდარებლად ნათელი და ოპტიმისტურია“.

ბრაუნი აცხადებს, რომ სსრ კავშირში აღდგენისა და განვითარების მასშტაბი პირდაპირ წარმოუდგენელია. აღწერს რა ერთი ადგილის ნახვას ლენინგრადის ახლოს, სადაც ომის შემდეგ მხოლოდ ნანგრევები დარჩა, ბრაუნი წერს: ახლა, რამდენზეც თვალი გასწვდება, იქ გადაჭიმულია ფართო ბულვარები და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების უბნები. ასეთივე მშენებლობა მიმდინარეობს მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით. ქალაქის ახალ რაიონებში პირველ ადგილზეა საბინაო მშენებლობა. ჩნდება ფართო და თანამედროვე ქუჩები, როგორსაც დასავლეთში ვერ ნახავთ, სადაც

„ჩვენი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ყოველგვარი პოლიტიკური რწმენის ჟურნალისტები, — წერს კორესპონდენტი, — მივიდა დასკვნამდე, რომ ჩვენ ვხედებით საზოგადოებას, რომელსაც აქვს უდიდესი პოტენციური შესაძლებლობა, რის გამოყენებას ჯერ მხოლოდ იწყებენ.

აი რამ გამაოცა ყველაზე მეტად: ადამიანები, რომლებიც მზით ირუჯებოდნენ ბუნების წიაღში, რომლებიც პიკნიკებს აწყობდნენ მდინარეთა ნაპირებზე, შუაღამისას ნევის პროსპექტზე სეირნობდნენ ლენინგრადში, სრულიად ცხადად ტკბებოდნენ ცხოვრებით.

დღეს ლენინგრადის მაღაზიები საქონლის თითქმის ისეთსავე ასორტიმენტს გვთავაზობენ, როგორც ლონდონში. შევნიშნე, რომ ქალაქში ბევრ ახალ სახლთან გარაჟები შენდება“.

სსრ კავშირში მოგზაურობამ ბრაუნი აიძულა გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება ბურჟუაზიული პრესის გამოსვლებისადმი, რომელიც მკითხველებს აშინებს მოჩვენებითი „კომუნისტური საფრთხით“. „ჩვენ იმდენ ხანს ვცდილობდით არ დაგვეჯერებინა კომუნისტური პროპაგანდის ტყუილი, რომ ახლა არსებობს იმის საფრთხე, რომ კატასტროფულად ვტყუვდებით“, — ჩივის ინგლისელი ჟურნალისტი.

ჩვენ საკმაოდ ვერ დავუახლოვდებით, რათა მშვიდობიანად თანავიარსებოთ, თუ ჩვენ, ე. ი. დასავლეთი, არ ვაღიარებთ, რომ თვითონ შეგვიძლია რაიმე ვისწავლოთ რუსებისაგან“, — ასეთია ძირითადი დასკვნა, რომელსაც ბრაუნი აკეთებს.

# ავარიდოთ ბავშვებს საფრთხე!

## პიონერთა თავდადება

ეს ამბავი მოხდა ამ დღეებში სოხუმის რაიონის კოდორის ხე-ტყის ქარხნის ტერიტორიაზე. სამი პატარა მეგობარი კოტიკო, ვოვა და ტოლიკი სახლიდან გამოიპარნენ და მოგზაურობა გადაწყვიტეს.

— დღეს ჩვენ თვითმავალი კარჭაპით ვიცუროთ, ისე როგორც საბჭოთა ჯარისკაცები წყნარ ოკეანეში ცურავდნენ, — თქვა მათ შორის ყველაზე უფროსმა კოტიკომ. მისი წინადადება სიამოვნებით მიიღეს, და უმალვე ქარხნის განმანაწილებელ აუზს მიადგნენ, სადაც მთის მშფოთვარე მდინარე კოდორიდან არხით შემოდის წყალი. აქ გადაწყვიტეს „ზღვით მოგზაურობა".

ბავშვები გაბედულად შეახტნენ მორს, რომელსაც თვითმავალი კარჭაპი დაარქვეს, და ცურვა დაიწყეს. მაგრამ „მოგზაურობა" დიდხანს არ გაგრძელებულა. არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ მორი გადაბრუნდა და ბავშვები ღრმა წყალში ჩაცვივდნენ.

ბავშვების ყვირილი გაიგონეს იქვე ახლოს მიმავალმა პიონერებმა ლ. ბოიდენკომ და ა. შონიამ. მათ აუზთან მიირბინეს და წყალში გადაეშვნენ. თორმეტი წლის ბიჭუნები შეუდგნენ პატარა ბავშვების ხსნას. ნაპირზე პირველი ამოიყვანეს უკვე ფსკერზე ჩაძირული ხუთი წლის ტოლიკ სოინი, შემდეგ ვოვა ბუგიანიშვილი და კოტიკო კაჭარავა.

ბოიდენკოს მიუხდა თავისი ამხანაგის ა. შონიას ხსნაც, რადგან მან დიდხანს ვერ შეძლო ცურვა და თვითონაც ჩავარდა ხიფათში.

ასე გადაარჩინეს დახრჩობას პატარები კოდორის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა, პიონერებმა ლიონია ბოიდენკომ და ალიოშა შონიამ.

კოდორის შვიდწლიან სკოლაში გაიმართა პიონერული რაზმის საზეიმო შეკრება. ხაზზე ჩამწკრივდნენ წითელყელსახვევიანი გოგო-ბიჭები და ლიონია ბოიდენკოს და ალიოშა შონიას მადლობა გამოუცხადეს. (საქ. კორ.).

## გოგონა გადარჩენილია

ამბროლაურის რაიონის სოფ. ლიხეთში მცხოვრები 6 წლის გოგონა როზა მეტრეველი დედას გამოეპარა. ცნობისმოყვარეობამ წაბლიას მდინარის ნაპირზე გაიყვანა.

როგორც ყოველ გაზაფხულზე, მთის დაუდეგარი მდინარე ახლაც მღვრიე ტალღებთან ერთად ქვებსა და მორებს მიაქანებდა. გოგონას წყალმა მზერა მოსტაცა, თავბრუ დაესხა და მორევში ჩავარდა. ტალღამ იგი სახერხი ქარხნის არხისაკენ გამოაგდო. წუთიც, და ბავშვი ქარხნის ბორბლების მსხვერპლი გახდებოდა. შემთხვევის ადგილზე გაჩნდა მუშა ო. ჯაფარიძე. იგი გაუხდელად გადაეშვა წყალში და აშკარა დაღუპვას გადაარჩინა გოგონა.

ბა. კერესელიძე,

### რედაქციისაგან

ვბეჭდავთ ამ ორ მასალას ადამიანების კეთილშობილურ საქციელზე, რომლებიც თავს სწირავენ განსაცდელში ჩავარდნილის გადასარჩენად.

მაგრამ ეს ორი პატარა კორესპონდენცია სხვა მხრივაც არის დამაფიქრებელი. აქ ორივე შემთხვევაში მსხვერპლი არიან ბავშვები, რომლებიც თავისუფლად მიდიან ადიდებულ წყალთან, ღრმა აუზთან. განა ეს იმას არ მოწმობს, რომ ეს ბავშვები მოკლებული არიან მეთვალყურეობას, თავისუფლად შეუძლიათ წავიდნენ, სადაც მოესურვებათ.

ავარიდოთ ბავშვებს საფრთხე, ყველა ზომა მივიღოთ იმისათვის, რომ ისინი დაცული იყონ ყოველგვარი ხიფათისაგან. ასეთია მშობლების, ყველა საბჭოთა ადამიანის მოვალეობა.



# ეს მშობლიური თბილისი

4. ზღვას შენატროდნენ თბილისელები. მტკვარი მკერდს ბანდა ქალაქის მიწას, ტანს უგრილებდა მის ლაღ ჩქერებში მონავარდეს, მაგრამ ფირუზისფერი ზღვის ლივლივი მაინც ოცნება, ტკბილი ოცნება იყო.

და აი თბილისთანაც გაჩნდა, როგორც ზღაპარში, მართლა ზღაპრული, ლამაზი ზღვა.

— და მერე საიდან?..

—ივრიდან.

დუდუნით მოდიოდა, ტალღებს ჩქაფუნით მოაგორებდა კახეთის წელზე ვერცხლისფერ ქამრადშემორტყმული მჩქეფარე იორი. აჭერდა ზაფხულის პაპანაქება და მდინარეში ეშვებოდნენ სიცხით გათანგული კამეჩები. წყალს, ივრის კასკასა წყალს მიაშურებდა დასალევად ნოყიერი ბალახით გალაღებული ფარა.

იორი ხალხის სამსახურში იდგა. მაგრამ იგი არასოდეს არ ყოფილა ასე მაამებელი და დიდებით შემკული, როგორც ახლა, როცა მისი ზვირთები სტალინის სახელობის არხს მოჰყვებიან და მზით გადატრუსულ მიწას რწყავენ ოდესღაც უკაცრიელ სამგორის ველზე.

ვენახიც გაჩნდა ახალ წალკოტში. მერცხალმაც დაიწყო სამგორის მოსახლეობის ჰერქვეშ ჟღურტული, წინათ რომ სტუმრობაც არ სურდა ამ არემარეში. შეგუბდა, შეტბორდა ჩვენი იორი. ბეტონის კვარცხლბეკზე დამთავრდა მისი უკანასკნელი ჩხრიალი და ფირუზოვან წყალში ჩაიტანა მწყემსების გამოტანებული სიმღერა. ახლა თვითონ ზღვა, თბილისის ზღვა ამღერდა და აღგაფუნდა მლაშე ტბების ნამყოფ მიწაზე. კალმახიც ამოხტა ზღვიდან და ფორეჯი შემოგვანათა: აქაო და მეც მოვედი კავკასიის ანკარა მდინარიდანო!

მოდი, ნახე, როგორ ლივლივებს ზღვა სამგორული მზის ქვეშ! ნავით გასეირნება გიყვარდა, ჩემო თბილისელო, და როცა მოგესურვოს, აქ მოდი, შენს მშობლიურ ზღვასთან, დაისვენე, ტალღებს მიაპყარ თვალი. ეს ზღვაც შენია, ეს ნავსადგურიც და მის წინ გაფენილი ნავებიც, ახლა რომ ნელი რწევით გვიწვევენ სასეირნოდ.

ყველაფერი ეს შენია, ჩემო თბილისელო. შენ ხომ სტუმართმოყვარე ხარ, და როგორც მამაპაპურად გვჩვევია, კარი გაუღე, შენი მშობლიური ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებით დაატკბე შენი მშვენიერების მნახველი ექსკურსანტები, ტურისტები. კეთილად გაუმასპინძლდი და ისიც უთხარი:

ნახეთ, იარეთ, გზა ულევია,
სადაც მერცხალი იკეთებს ბუდეს.
ვისაც მტკვრის წყალი დაულევია,
გული საყვარელ თბილისში უდევს.

ვარლამ ჟურული.

* * *

სურათებზე: თბილისის ზღვა.

სურათების ციკლი „ეს მშობლიური თბილისი" ვერტმფრენიდან გაზეთ „კომუნისტისათვის" სპეციალურად გადაიღო საქდესის ფოტოკორესპონდენტმა ს. ონანოვმა.





ჩვენი მადლობა. გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია მადლობას უცხადებს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის 112 რაზმის უფროსს დ. მატვეევს და მფრინავ მ. გელაშვილს იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ გაუწიეს რედაქციას ვერტმფრენიდან თბილისის ხედების გადაღების საქმეში.

## მათ დაიპყრეს ჯომოლუნგმა

1958 წლის 29 მაისს 11 საათსა და 30 წუთზე ჰიმალაის შერპების ტომის მთიელი სახელად ნორკეი ტენსინგი და ახალზელანდიელი ედმუნდ ჰილარი ავიდნენ დედამიწის უმაღლესი მთის ჯომოლუნგმის (ევერესტი) მწვერვალზე. ყინულითა და თოვლით დაფარული დიადი პირამიდა აღმართულია ლაჩის მთაგრეხილზე, ტიბეტისა და ნეპალის საზღვარზე. მისი სიმაღლეა 8.882 მეტრი ზღვის დონიდან.

აღნიშნულ მწვერვალზე ასვლის ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო. გამარჯვებით დამთავრდა ცდები სხვადასხვა ქვეყნის მკვლევართა და ალპინისტთა რამდენიმე თაობისა, რომლებიც 1921 წლიდან ბევრჯერ ცდილან ასულიყვნენ ჯომოლუნგმაზე.

ალპინისტები ახერხებდნენ სიმაღლის რუბიკონის — რვა ათასი და თვით რვა ათას ხუთასი მეტრი სიმაღლის დაძლევას, მაგრამ ჩვენი პლანეტის უმაღლესი წერტილი მაინც მიუწვდომელი რჩებოდა. ყველაზე ახლოს მიზანთან, 8.570 მეტრ სიმაღლეზე იყვნენ ცნობილი ინგლისელი ალპინისტები მელორი და ირვინი. მაგრამ ისინი არ დაბრუნებულან, და მათი დაღუპვის მიზეზი დღემდე რჩება ჰიმალაის ერთ-ერთ საიდუმლოებად.

სამიოდე საათის სავალზე სანუკვარი მიზნიდან იყო ორი სხვა ინგლისელი ალპინისტი — ნორტონი და სომერველი.

დასავლეთის ალპინისტურ წრეებში მიუწვდომელ მწვერვალს უწოდეს „უკანასკნელი გეოგრაფიული გამოწვევა მსოფლიოსადმი".

ასვლის პირველი ცდა იყო 1921 წელს. და მხოლოდ ოცდათორმეტი წლის შემდეგ მიაღწია ადამიანმა სანუკვარ მიზანს. ტენსინგისა და ჰილარის ასვლის სამი წლის შემდეგ ჩვენი პლანეტის ყველაზე მაღალ წერტილზე იყო აგრეთვე ოთხი შვეიცარიელი ალპინისტი.

მაგრამ ჯომოლუნგმაზე ჩრდილოეთიდან (ტიბეტიდან) ასვლა გადაუწყვეტელ პრობლემად რჩებოდა. პირველი ორი ასვლა სამხრეთიდან მოხდა. ბევრ სპეციალისტს ჯომოლუნგმა ჩრდილოეთიდან მიუვალი ეგონა და, უდავოა, მსოფლიო ალპინიზმის გადაუწყვეტელი პრობლემებიდან ყველაზე სერიოზულ პრობლემად მიაჩნდა.

და აი ამ ცოტა ხნის წინათ სინხუას სააგენტომ და ყველა ქვეყნის დეპეშათა სააგენტოებმა გადასცეს ცნობა ჩინელი ალპინისტების შესანიშნავი გამარჯვების შესახებ. 25 მაისს 4 საათსა და 20 წუთზე პეკინის დროით ჯომოლუნგმაზე ჩრდილოეთიდან ავიდა სამი ახალგაზრდა ჩინელი ალპინისტი — ვან ფუ-ჯოუ, ციუი ინ-ხუა და გონპო, რომლებმაც ამით გააბათილეს დასავლეთელ ალპინისტთა ყველა პროგნოზი, რომ მწვერვალი ჩრდილოეთიდან მიუვალი იყო.

19 მარტს ექსპედიციამ ში ჩან-ჩუნის ხელმძღვანელობით მიაღწია მწვერვალის ძირს და 5.120 მეტრ სიმაღლეზე საბაზო ბანაკი მოაწყო. საიერიშო ბანაკი შექმნილ იქნა 8.500 მეტრ სიმაღლეზე. 24 მაისს 7 საათსა და 30 წუთზე ალპინისტებმა გადამწყვეტი იერიში მიიტანეს. იგი თითქმის დღეღამის განმავლობაში გრძელდებოდა. 382 მეტრმა, რაც მწვერვალამდე რჩებოდა, მოიერიშეებს 20 საათი წაართვა. მაგრამ ადამიანის ნებისყოფამ ამჯერადაც სძლია ჯომოლუნგმას.

ეს დიდი გამარჯვებაა მსოფლიოს ყველა ალპინისტისათვის და მით უმეტეს ჩინელი ალპინისტებისათვის, რადგან მთამსვლელობის განვითარება ჩინეთში დაიწყო სულ ცოტა ხნის — ხუთიოდე წლის წინათ.

ვინ არიან ეს გმირები, რომელთა სახელები უკვე ოქროს ასოებით ჩაიწერა მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში. ვან ფუ-ჯოუ პეკინის გეოლოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია, ციუი ინ-ხუა ტყის მჭრელია სიჩუანის პროვინციიდან, გონპო ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცია.

პირველ ორს ქართველ მთამსვლელთა მოსიმაღლე გუნდი იცნობს 1958 წელს ლენინის პიკზე (პამირი) ერთად ასვლით.

ჯ. მეძმარიაშვილი,
სპორტის ოსტატი.

## ინსტიტუტი ეხმარება სკოლებს

გურჯაანი. (საკ. კორ.). თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის კოლექტივმა სასწავლო წლის დასაწყისში გურჯაანის რაიონის სკოლების შეფობა იკისრა. უცხო ენების გაკვეთილების მოსმენა, მასწავლებლებისათვის კვალიფიციური რჩევა-დარიგების მიცემა, სწავლების ხარისხის ამაღლება — აი რა იყო ამოცანა.

სასწავლო წლის პირველ ნახევარში ინსტიტუტის ინგლისური ენის სპეციალისტებმა მ. კრავეიშვილმა, ნ. ჩიგოგიძემ და ი. ხატიაშვილმა ველისციხის, ახაშნისა და ვაზიანის საშუალო სკოლებში დაწვრილებით შეისწავლეს ინგლისური ენის სწავლება, დაესწრნენ გაკვეთილებს, გადასინჯეს მოსწავლეთა ნამუშევრები.

გურჯაანელებს საქმიანი დახმარება გაუწიეს აგრეთვე ინსტიტუტის ფრანგული და გერმანული ენების სპეციალისტებმა: ვ. აბაზაძემ, ე. ციციშვილმა, ქ. ჩოჩუამ, ვ. ლეჟავამ, მ. დიდებულიძემ და თ. დვალიშვილმა.

ამას წინათ ინსტიტუტის სტუდენტები გურჯაანის რაიონს ესტუმრნენ. მათ გურჯაანსა და ვაზისუბანში საინტერესო კონცერტები გამართეს.

## საათი „კოლხიდა"

ალექსანდრე ვაშაძეს კოლხიდის ზღვისპირა ქალაქ ფოთში იცნობენ, როგორც ტექნიკურ-გამომგონებლობითი ნიჭით დაჯილდოებულ ოსტატს. იგი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ფოთის ბავშვთა ტექნიკურ სადგურს, უშუალოდ მონაწილეობდა მოსწავლეთა მიერ ორიგინალური მოდელების დამზადებაში. ამასთან იგი საათების შეკეთების საუკეთესო სპეციალისტია.

ახლახან ა. ვაშაძემ შექმნა ორიგინალური საათი, რომელიც ერთდროულად აჩვენებს ადგილობრივ და მსოფლიოს ზოგიერთი ქალაქის — მოსკოვის, ტაშკენტის, ბერლინის, ლონდონის, პეკინის, ნიუ-იორკის, ანკარის, ტოკიოს, ჩიკაგოს დროს. დღის 12 საათსა და საღამოს 5 საათზე საათი ხმამაღლა აცხადებს მსოფლიოს სხვადასხვა დროს, ხოლო ყოველ საათში იტყობინება ადგილობრივ დროს, თანაც საათის ქვედა წრეში ქართულ ცეკვას იწყებს ქალ-ვაჟი, გაისმის „დავლურის" მელოდია, რომელიც შემდეგ ავტომატურად გამოირთვება.

საათს აქვს გლობუსისებური ციფერბლატი, რომელზეც ორი ისარია. წითელი მოზრდილი ისარი აჩვენებს ადგილობრივ დროს, ხოლო პატარა ისარი სხვა ქალაქების დროს.

საათშივე მოწყობილია რადიომიმღები, რომელიც ნებისმიერად შეგიძლიათ ჩართოთ და გამოიყენოთ როგორც ჩვეულებრივი მიმღები. საათის სიმაღლე 52 სანტიმეტრია, სიგანე — 35.

როგორც ოსტატმა ალ. ვაშაძემ განაცხადა, შესაძლებელია მისი მასობრივად გამოშვება და ღირებულება არ გადააჭარბებს კედლის საათების ფასს. ამ ორიგინალურ საათს ოსტატმა „კოლხიდა" უწოდა და საჩუქრად მიუძღვნა იგი საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის მომავალ იუბილეს.

კ. კომახიძე.

## ასე შენდება სოფელი

◆ წულუკიძის რაიონის სოფლებს გელავერსა და ნოღას შუა გადის მდინარე ცხენისწყალი, რომელზეც გადასვლა აქამდე მხოლოდ ნავით შეიძლებოდა. სოფლის აქტივმა ითავა და ცხენისწყალზე ბონდი ააგო.

მ. გორდულაძე.

◆ ორჯონიკიძის რაიკავშირმა რაიონულ ცენტრში ი. ბ. სტალინის ქუჩაზე ააგო ორსართულიანი შენობა. მის პირველ სართულში მოთავსებულია უნივერსალური მაღაზია, რომელსაც რვა სექცია აქვს.

ა. გოგოლაძე.

◆ თერჯოლის რაიონული საავადმყოფოს ეზოს გამწვანებაზე კარგად იმუშავა მისმა მედპერსონალმა. დაირგო 4.000 ძირი დეკორაციული მცენარეები, 200 ძირი თუთა და სხვ. საავადმყოფოს მუშაკები კარგად უვლიან ნარგავებს.

გ. კაჭკაჭიშვილი.

### შემთხვევები

## მკვლელი სასჯელს ვერ გაექცევა!

კუპრივით ბნელ ღამეში სატვირთო ავტომანქანა ელვის სისწრაფით მიჰქროდა სოფელ თელეთისაკენ... იგი უცბად მოასფალტებულ გზას ასცდა და ხევისაკენ გაუხვია, შეჩერდა. არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ გაისმა ქალის გულშემზარავი კივილი, შემდეგ კი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

მეორე დღეს გამვლელები წააწყდნენ მიწაში ნაუცბათევად ჩაფლულ თვალებდათხრილ მრავალჭრილობამიყენებული მოქალაქე ლელა მ-ლს.

დაიწყო კვლევა-ძიება, მაგრამ დამნაშავის კვალის მიგნება გაძნელდა.

ამ აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ სამგორის რაიონის პროკურორმა შ. მანჯავიძემ საუბარი ჩაატარა მახლობელ სოფლებში. საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებით მკვლელი ნიკოლოზ ჯაშიაშვილი შეპყრობილ იქნა, იგი სასამართლო ორგანოების მიერ დასჯილია კანონის მთელი სიმკაცრით.

• • •

მაგრამ, სამწუხაროდ, არის ფაქტები, როცა დამნაშავე დროებით დაუსჯელად დათარეშობს.

მიმდინარე წლის 11 აპრილს საღამოს 9 საათზე თბილისში სტალინის სახელობის სანაპიროზე ლურჯი ფერის ავტომანქანა „პობედამ" უხეშად დაარღვია მოძრაობის [illegible] ვდილოდ დაამავა ორი ახალგაზრდა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ეთერ ჩიკვაიძე და მალხაზ როსტომაშვილი, ბოროტმოქმედი მძღოლი მიიმალა...

საგამომძიებლო ორგანოებმა სასწრაფოდ მიიღეს ზომები, მაგრამ ორი ახალგაზრდის მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

იქნებ შემთხვევის ადგილზე არავინ იყო? უცნობ ავტომანქანას, რომელმაც იმსხვერპლა ადამიანები, დაახლოებით ათი მეტრის მანძილზე მისდევდა „ტაქსი", რომელსაც მძღოლი სერგო ყაზარის-ძე არუთინოვი მართავდა. მაგრამ მან ცივად განაცხადა: არაფერი დამინახავს, არაფერი ვიციო.

საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები მკვლელის კვალს ეძებენ, მაგრამ საჭირო შედეგს დღემდე ვერ მიაღწიეს. იქნებ რომელიმე მკითხველი დაეხმაროს სანაპიროზე მომხდარი დანაშაულის კვალის მიგნებაში?!

[illegible]

## შველი ტყეს დაუბრუნეს

ციხვგომბორის ლამაზ კალთებზე გაიზარდა ბუნების ეს მშვენიერი ქმნილება.

მაგრამ აი ერთ დღეს მოხდა საშინელი ამბავი: უგულო მონადირემ ბუნების ეს ლაღი შვილი გაინაპირა. იგრიალა თოფმა, მაგრამ საბედნიეროდ მიზანს ასცდა, შველმა სწრაფი ნახტომით უშველა თავს. იგი დაფეთებული გაიჭრა ველზე და მალე ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის" ხეხილის ბაღს შეაფარა თავი. აქ შეშინებული და ქანცგაწყვეტილი შენიშნა კოლმეურნე ანა კოკოლიშვილმა.

კოლმეურნე ქალი მივიდა შველთან, დაუყვავა და შინ წაიყვანა, ხოლო შემდეგ ეს ამბავი „მონკავშირის" სიღნაღის რაიონულ გამგეობას შეატყობინა. გამგეობის თავმჯდომარემ ო. მოსაშვილმა კოლმეურნე ა. კოკოლიშვილს მადლობა გადაუხადა, შველი კი ისევ ტყეს დაუბრუნა.

ნ. შარმიაშვილი.

* * *



ფოტო ე. სილდირიანისა.

## უცნაური ნაპოვნი

ხაშურის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა ალექსანდრე აბაზაძემ სურამის უღელტეხილის საავტომობილო გზაზე — ხაშურიდან მე-20 კილომეტრზე შენიშნა გზატკეცილზე დაგდებული ჩანთა. მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა, ჩამოვიდა, ჩანთა აიღო, გახსნა და რას ხედავს — 100.000 [illegible] 50-კაპიკიანი [illegible]

[illegible]

## ავტორალში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის გუნდმა

პრაღა, 10 ივნისი. (საქდესი). მსაჯთა მთავარმა კოლეგიამ შეაჯამა „მშვიდობისა და მეგობრობისათვის" საერთაშორისო საავტომობილო რალის საბოლოო შედეგები.

ეროვნულ გუნდთა შორის პირველი ადგილი დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა, რომელსაც აქვს 75 ქულა. მან მოიპოვა „მთავარი პრიზი". მეორე ადგილზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი — 89 ქულა, მესამეზეა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — 92 ქულა, მეოთხეზეა პოლონეთი — 172 ქულა და მეხუთეზეა უნგრეთის გუნდი — 196 ქულა.

პირად ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის გუნდის ეკიპაჟი ვ. ბობეკისა და ი. მანსფელდის შემადგენლობით, რომელიც გამოდიოდა „შკოდას" მარკის მანქანით, მეორე პრიზიორები არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები კ. ოტო და გ. ვენიგი („ვარტბურგის" მარკის ავტომობილი), მესამე ადგილზე არიან ჩეხოსლოვაკი სპორტსმენები მ. ფოუზეკი და ო. გორშაკი (მანქანა „შკოდა"), საბჭოთა ავტომობილისტები ა. ბრენცისი და ს. ტენიშევი, რომლებიც „მოსკვიჩით" მიდიოდნენ, მეოთხე ადგილზე არიან. საუკეთესო სპორტსმენთა პირველ ათეულში ხუთი საბჭოთა ეკიპაჟია.

23 საკლუბო გუნდში, რომლებიც რალში მონაწილეობდნენ, პირველ ადგილზეა სასპორტო საზოგადოება „შრომის" (მოსკოვი) გუნდი, მეორე ადგილზეა რიგის ავტომოტოკლუბის გუნდი, მესამეზეა ჩეხოსლოვაკიის გუნდი „რუდა გვეზდა".

## „ლოკომოტივის" მეცხრე გამარჯვება

გუშინ თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა „ბ" კლასის გუნდების მორიგი შეხვედრა. თამაშობდნენ თბილისისა და გომელის „ლოკომოტივის" გუნდები.

მატჩი თბილისელთა უპირატესობით აღინიშნა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 5:0. ეს თბილისის „ლოკომოტივის" მეცხრე გამარჯვებაა ზედიზედ, მას 18 შესაძლებლიდან 18 ქულა აქვს.

# სპორტის ამბები

## ევროპის პირველობა კალათბურთში

ევროპის ჩემპიონატში კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის, რომელიც ერთ კვირაზე მეტია სოფიაში მიმდინარეობს, 11 ივნისამდე დაუმარცხებლად მხოლოდ 2 გუნდი იბრძოდა. ესენი არიან სსრ კავშირისა და ბულგარეთის კალათბურთელ ქალთა ნაკრები კოლექტივები.

10 ივნისს ბულგარელებმა დაამარცხეს რუმინეთის გუნდი. სსრ კავშირის კალათბურთელებმა მოუგეს პოლონეთის გუნდს ანგარიშით 71:26. ამავე დღეს ჩეხოსლოვაკიის გუნდმა დაამარცხა იუგოსლავიის კალათბურთელთა კოლექტივი და თავისთვის უზრუნველყო მესამე საპრიზო ადგილი.

პირველობის საკითხს წყვეტს სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდების მატჩი.

## დინამოელთა ტურნე ისლანდიაში

სსრ კავშირის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივმა დაამთავრა ტურნე ისლანდიაში. აქ დინამოელებმა გამართეს სამი საერთაშორისო მატჩი და სამივე მოიგეს საერთო ანგარიშით 18:0.

პირველი შეხვედრა საბჭოთა ფეხბურთელებს ჰქონდათ რეიკიავიკში სამხრეთ-დასავლეთ ისლანდიის ნაკრებთან, რომელიც დაკომპლექტებული იყო ოთხი უძლიერესი საკლუბო გუნდის საუკეთესო ფეხბურთელებით და ფაქტიურად ამ ქვეყნის ნაკრებს წარმოადგენდა. მატჩი დამთავრდა 3:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

მომდევნო ორი ასპარეზობა დინამოელებმა გამართეს ამავე ქალაქში საკლუბო გუნდების „კრ-სა" და „ფრამის" წინააღმდეგ და ორივე მოიგეს ანგარიშით 6:0 და 9:0.

საბჭოთა ფეხბურთელები სამშობლოში გამოემგზავრნენ. 13 ივნისს ისინი თავიანთ მოედანზე მეორე წრის პირველ მატჩში შეხვდებიან ხარკოვის „ავანგარდს".

## სასტენდო მსროლელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი

თბილისში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირადგუნდური პირველობის გათამაშება სასტენდო სროლაში, რომელშიც გამოდიოდნენ მონადირეთა კავშირის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, აფხაზეთისა და სხვა გუნდები.

ჩემპიონატის უკანასკნელ დღეს სპორტსმენები გამოდიოდნენ მრგვალ სტენდზე სროლაში. აქ უძლიერესი აღმოჩნდა და ჩემპიონის წოდება მოიპოვა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდის წევრმა სპორტის ოსტატმა ბ. ანტონოვმა. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი დაიკავეს პ. სარქისოვმა და კ. კლდიაშვილმა.

მრგვალ სტენდზე სროლაში გუნდური პირველობა ხვდათ არმიელ სპორტსმენებს.

საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მსროლელებმა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

12 ივნისი

თეატრები: ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის — კოლხეთის ცისკარი (დღისით), ყვარყვარე თუთაბერი (საღამოს, ოპერისა და ბალეტის თეატრის შენობაში), რუსთაველის სახელობის — ჰამლეტი (საღამოს, სეზონის დახურვა), მარჯანიშვილის სახელობის — ორი ფერი (დღისით), კოლხეთის ცისკარი (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — ირკუტსკის ისტორია (დღისით), გაზაფხულის ვიოლინოები (საღამოს), სანკულტურის — იუპიტერი იცინის.

ტელევიზია: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 12.15 — ყველაზე პატარებისათვის — „აბა, გამოიცანით?", 12.30 — მხატვრული ფილმი „სომბრერო", 14.00 — „უცხო ენის შემსწავლელთათვის" ინგლისური ენის გაკვეთილი, 19.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.50 — კონცერტი, 20.15 — კინოჟურნალი, 20.25 — ახალი მხატვრული ფილმი — „ყვირილი ქუჩიდან".

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის ქ. № 14. [illegible] რედაქტორის — 8-72-80, სამდივნოსი — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა [illegible]-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკო[illegible] — 3-20-48, მუშსოფლკორთა კაბინეტის—8-08-67, განცხადებების მიღებისა—3-64-42.

უე 02466 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.